ახალი განათლება

2013 წელი, 17-23 იანვარი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№1 (595) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

სტუმარი

ბიბლიოთეკა, როგორც კულტურული ბრენდი

რუბრიკის სტუმარია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე

გვერდი 8

გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე საგამოცდო კრებულები განთავსდა

როგორ მოვემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის * საგამოცდო კრებული გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის.

კრებულში აბიტურიენტებისთვის და პედაგოგებისათვის ყველა საჭირო ინფორმაციაა მოცემული. კრებულებს თან ახლავს რეკომენდაციები, რჩევები და ტესტური დავალებების ნიმუშები და სხვ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლებმა კრებული ყველა საგამოცდო საგნისთვის მოამზადეს. გამოცემა მომზადდა პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდისთვისაც. გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემავალი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის კრებული ცალკე დაიბეჭდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის პროცესზე დეტალურ ინფორმაციას აბიტურიენტები და პედაგოგები იანვრის ბოლომდე მიიღებენ.

ჩვენი გაზეთი, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, შემოგთავაზებთ ტესტის თითო ნიმუშს ყველა საგანში. დღეს გთავაზობთ ქართული ენისა და ლიტერატურის (სავალდებულო გამოცდა) ტესტის ნიმუშს.

გვერდი 3-7

მსოფლიო დიფერენციალური კლასიკოსების ახალი ტომები

ალბერ კოენი
დედაჩემი

ჯონ გოლზუორთი
რჩეული მოთხრობები



პროსპერ მერიმე
ილელი ვენერა

მარგერიტ დიურასი
საყვარელი
ჩრდილოეთ ჩინეთიდან

წიგნის თარო

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

კონკურსი

გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ!



მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ 2012 წლის ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ და გაზეთმა „ახალი განათლება“ გამოაცხადა ერთობლივი კონკურსი საქართველოს სკოლების უფროსკლასელებისთვის საკუთარი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიების შესახებ. კონკურსის პირველი ეტაპი დასრულებულია. შემოსული მასალების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დაგეჯითებით ვთქვათ, რომ შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა. კონკურსში მონაწილეობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის ქობულეთის, ქედის, მესტიის, ჭიათურის, ქუთაისის, ყვარლის, მცხეთის, თბილისის, ახალციხის, რუსთავის, ტყიბულის, თელავის, ასპინძის, მარტვილის და სხვა რაიონების ასამდე სკოლა.

მოსწავლეებმა დიდი ინტერესით მოიძიეს და აღწერეს მათი კუთხის დამახასიათებელი, ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ზეპირსიტყვიერების, სამზარეულოს ნიმუშები. შეირჩა საუკეთესო ნამუშევრები და მათ ავტორებს გაეგზავნათ ელექტრონული შეტყობინება შემდეგ ტურში გადასვლასთან დაკავშირებით. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები გულდასმით სწავლობენ შერჩეულ ნამუშევრებს, ურთავენ მათ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. საბოლოოდ, გამარჯვებული ნიმუშები სკოლებთან თანამშრომლობით არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტის სააღრიცხვო ბარათების სახეს მიიღებენ და ოფიციალური სტატუსის მისანიჭებლად გადაეგზავნება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

დაჯილდოების თარიღის შესახებ ინფორმაცია უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

მაკა თაქთაქიშვილი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის კონსულტანტი

ინფორმაცია

ქართული ხელნაწერი – on-line ენციკლოპედია

პირველად საქართველოში, ქართული ხელნაწერი კულტურის შესახებ ელექტრონული ენციკლოპედია შეიქმნა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში იმ პროექტის პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ფარგლებშიც ქართულ ხელნაწერ სამწიგნობრო ტრადიციასთან დაკავშირებული ელექტრონული ენციკლოპედია შეიქმნა მისამართზე – www.georgica.ac.ge.

პროექტი „ქართული ხელნაწერი (on-line ენციკლოპედია)“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ბაზაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა და ათწლეულების განმავლობაში ცენტრში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების შედეგებს ეფუძნება. პროექტი ქართული ხელნაწერი კულტურის შესახებ ელექტრონული ენციკლოპედიის შექმნის პირველი მცდელობაა.

ქართულ ხელნაწერ სამწიგნობრო ტრადიციასთან დაკავშირებულ პირველ ელექტრონულ ენციკლოპედიაში თავმოყრილია: ანბანური, თემატური საცნობარო ხასიათის სტატიები (სასულიერო მწერლობა, საისტორიო მწერლობა, სამონასტრო და სამწიგნობრო კერები, საქართველოსა და საზღვარგარეთ დაცული კოლექციები, ხელნაწერის შექმნა და მხატვრული გაფორმება, საწერი მასალა, ქართველოლოგები...) ავტორთა საძიებლის მიხედვით;

სტატიები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი პოლიგრაფია, საილუსტრაციო მასალა და, ნაწილობრივ, ინგლისური თარგმანი.

პორტალი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული ქართველი და უცხოელი მკვლევრისათვის და აქვს გაფართოებისა და შევსების პოტენციალი.

პრეზენტაციას, ბევრ მოწვეულ სტუმართან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **დავით ზურაბიშვილი** დაესწრო.

ბაკალავრიატის 14 მიმართულება სრულად დაფინანსდება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის მიერ, 2013 წლის ბიუჯეტში, სტუდენტთა საგრანტო დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა. ამ ცვლილებამ შესაძლებელი გახადა სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში ბაკალავრიატის რამდენიმე წამყვანი მიმართულების 14 სპეციალობაზე სტუდენტთა სწავლის სრული კურსის (4 წელი) დაფინანსება.

მიმართულებები და სპეციალობები

მიმართულებები	დარგი/სპეციალობა
აგრარული მეცნიერებანი	აგრონომია
განათლება	განათლების მეცნიერებები
ინჟინერია	ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია, მშენებლობა
მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი	მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია
სოციალური მეცნიერებები	ეკონომიკა
ჰუმანიტარული მეცნიერებები	არქეოლოგია, ისტორია, ქართული ფილოლოგია,ფილოსოფია
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	არქიტექტურა

დაფინანსება შეეხება იმ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებათა სტუდენტებს, სადაც ზემოაღნიშნულ მიმართულებებზე სადოქტორო პროგრამები ხორციელდება, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და დაფინანსების რა შესაძლებლობებიც გამოიკვეთება სამინისტრო ამის შესახებ საზოგადოებას დამატებით აცნობებს.

IBSU

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აცხადებს ვაკანსიას შემდეგ პოზიციაზე

ჰუმანიტარული ფაკულტეტი – 1 ასოცირებული პროფესორი
ქართული ზეპირი და წერითი კომუნიკაციების კულტურა

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ასოცირებული პროფესორისათვის:
ა. დოქტორის ხარისხი;
ბ. შესაბამისი მიმართულებით ლექტორად მუშაობის, მინიმუმ, სამწლიანი გამოცდილება.

პიროვნული თვისებები:
♦ ძლიერი ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარები;
♦ ინგლისური და ქართული ენების სრულყოფილად ფლობა;
♦ კარგი პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
♦ შესაბამის სფეროში პრაქტიკული გამოცდილება;
♦ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა;
♦ ძლიერი კომუნიკაციის უნარები;
♦ ძლიერი თვითმოტივირებისა და თვითდისციპლინის უნარები;
♦ სტუდენტების, კოლეგებისა და უნივერსიტეტის ერთგულება;
♦ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის უნარები.

სავალდებულო საბუთების ნუსხა:
♦ პირადობის მოწმობის ასლი;
♦ პასპორტის 2 ფოტო;
♦ რეზიუმე და სამოტივაციო წერილი (სასურველია ქართულად და ინგლისურად)
♦ დიპლომებისა და შესაბამისი სერტიფიკატების ასლები (დიპლომის ასლი ნოტარიულად დამოწმებული)
♦ კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
♦ სამეცნიერო ნაშრომების ასლები;
♦ შესაბამისი კურსის/კურსების სილაბუსები (სასურველია ქართულად და ინგლისურად);
♦ ცნობა ამჟამინდელი ან ყოფილი სამსახურიდან;
♦ შრომის წიგნაკი (არსებობის შემთხვევაში).

დაინტერესებულმა კანდიდატებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ,
2013 წლის 27 თებერვლიდან 2013 წლის 15 მარტის ჩათვლით,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცელარიაში.

საკონტაქტო პირი: ეკატერინე ბაკარაძე.

მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ N2, www.ibsu.edu.ge, ebakaradze@ibsu.edu.ge, 2 59 50 05 (156)

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

ქართული ენა და ლიტერატურა

სავალდებულო გამოცდა

გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი

შესავალი

2011 და 2012 წლებში საატესტატო გამოცდების ჩატარების შემდეგ ნათელი გახდა, რომ საჭიროა ცვლილებების შეტანა ერთიანი ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში. საატესტატო და მისაღები გამოცდები თავისი ფორმატითაც და შინაარსითაც უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

სკოლის გამოსაშვებ გამოცდაზე მოწმდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალის (ლიტერატურის შემთხვევაში – კონკრეტული ნაწარმოებების) ცოდნა. მოცემულია შეკითხვა და ოთხი სავარაუდო პასუხიდან მოსწავლემ ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. ყველა შეკითხვას არჩევითი პასუხები აქვს და, ამდენად, ეს დავალებები ვერ ამოწმებს წერის უნარს. მოწმდება მხოლოდ ტექსტების ცოდნა და (გარკვეული დოზით) კითხვის უნარიც.

ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტებში კი ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნება სწორედ წერაზე. გასულ წლებში აბიტურიენტთა ნაწილი საერთოდ არ წერდა თხზულებას, რადგანაც მოკლე შეკითხვებზე გაცემული პასუხებითაც შეეძლო მინიმალური კომპეტენციის ბარიერის დაძლევა. ამჯერად ვითარება იცვლება: ქულების დასაგროვებლად აბიტურიენტს დასჭირდება წერითი დავალებების შესრულებაც.

2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდის ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტში აღარ იქნება შეტანილი დავალებები, რომლებიც შესწავლილი მასალის გააზრების უნარსა და ქართული ენის პასიურ ცოდნას ამოწმებდა.

ეროვნული გამოცდის ტესტში იქნება მხოლოდ 3 დავალება:

I. ტექსტის რედაქტირება (მაქსიმალური ქაულა 20);

II. არგუმენტირებული ესე (20 ქ.) და

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (15 + 25 ქ.).

წინა წლების მსგავსად ტესტის ამ უკანასკნელ ნაწილში მოცემული იქნება 2 ტექსტი: ერთი – პოეტური და მეორე – პროზაული. ამჯერადაც აბიტურიენტი თავად აირჩევს ამ ორი ტექსტიდან ერთ-ერთს და მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შედგენილ დავალებებს შეასრულებს.

ამრიგად, 2013 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი შარშანდელის ანალოგიური იქნება და მისი მაქსიმალური ქულა კვლავ 80 დარჩება.

საგამოცდო პროგრამა „ქართულ ენასა და ლიტერატურაში“ (სავალდებულო გამოცდა)

I. ქართული ენა:

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი. საგანგებო ყურადღება მიექცევა მეტყველების კულტურის საკითხების ცოდნას.

აბიტურიენტს მოეთხოვება შემდეგი საკითხების ცოდნა:

სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება; სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები; მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა.

სტილის რაობა; ფუნქციური სტილისტიკა; ლექსიკური სტილისტიკა; სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით; პარონიმები, ევფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები; სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.

წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენი ნიშნები; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

II. მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები:

– დრამა, ეპოსი, ლირიკა;

– პოეზია, პროზა;

– ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია, ტრიოლეტი, შაირი;

– აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი;

– დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა;

– ლირიკული გმირი, პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი;

– ალეგორია, გაპიროვნება, გროტესკი, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა;

– მხატვრული ენა, მხატვრული სახე.

III. ლიტერატურული პროცესის ძირითადი ეტაპები:

სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.

IV. ქართული ლიტერატურა:

1 იაკობ ხუცესი – „შუშანიკის წამება“.

2 იოვანე საბანისძე – „აბო თბილელის წამება“.

3 გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (სასკოლო შემოკლებული ვარიანტი).

4 შოთა რუსთველი – „ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძისა): „დასაწყისიდან“ „ტარიელის თათბირამდე“, „დასასრული“.

5 სულხან-საბა ორბელიანი – „სიბრძნე-სიცრუისა“: ლეონის თავგადასავალი; იგავ- არაკები: „მეფე ხორასანისა“, „ძუნწი დიდვაჭარი“, „უგუნური მცურავი“, „სამნი ბრმანი“, „მეფუნდუკე და დიდვაჭარი“.

6 დავით გურამიშვილი – „დავითიანი“: „სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავი“ (ბოლო ექვსი სტროფი), „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“, „ქართველთა და კახთაგან თავიანთ უფალთად შეორგულება“, „საწყაულის მოწყვა ღვთისაგან“, „დავით გურამისშვილის ლეკთაგან დატყოება“, „ოდეს დატყოებულმან ურჯულოს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ვეღარა ნახა, ამისი მოთქმა დავითისაგან“, „ტყვეობითგან გაპარვა დავითისა“, „შველა ღვთისაგან დავითისა. ტყვეობიდან გამოსვლა სარუსეთოში“, „დავით გურამისშვილისაგან საწუთოს სოფლის სამდურავი“.

7 ალექსანდრე ჭავჭავაძე – ლექსი „გოგჩა“.

8 გრიგოლ ორბელიანი – ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.

9 ნიკოლოზ ბარათაშვილი – ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოო...“, „მერანი“, „რად ჰყვედრი კაცსა...“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“, „ვპოვე ტაძარი“; პოემა „ბედი ქართლისა“.

10 ილია ჭავჭავაძე – ლექსები: „ბედნიერი ერი“, „პოეტი“, „ჩემო კალამო“, „პასუხის პასუხი“; პოემები: „განდეგილი“, „აჩრდილი“ – VII თავი; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?!“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქვრივი“; სტატია „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“

11 აკაკი წერეთელი – ლექსები: „განთიადი“, „პოეტი“, „ქებათა ქება (სხვებმან სვან ღვინო...)“, „აღმართ-აღმართ“; პოემა „გამზრდელი“.

12 ალექსანდრე ყაზბეგი – მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

13 ვაჟა-ფშაველა – ლექსები: „ჩემი ვედრება“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „სოფლისა წესი ასეა“, „ღამე მთაში“, „ბევრი ვიფიქრე ძალიან...“; პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; პუბლიცისტური წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.

14 დავით კლდიაშვილი – მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.

15 ნიკო ლორთქიფანიძე – მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

16 კონსტანტინე გამსახურდია – რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.

17 მიხეილ ჯავახიშვილი – რომანი „ჯაყოს ხიზნები“.

18 პოლიკარპე კაკაბაძე – პიესა „ყვარყვარე თუთაბერი“ (I და IV მოქმედებები).

19 გალაკტიონ ტაბიძე – ლექსები: „მშობლიური ეფემერა“, „თოვლი“, „მე და ღამე“, „მთაწმინდის მთვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „შერიგება“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“.

20 ტიციან ტაბიძე – ლექსები: „ლექსი მეწყერი“, „ანანურთან“.

21 პაოლო იაშვილი – ლექსი „პოეზია“.

22 გიორგი ლეონიძე – ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ყივჩაღის პაემანი“.

23 გურამ რჩეულიშვილი – მოთხრობა „ალავერდობა“.

24 ანა კალანდაძე – ლექსი „მკვდართა მზე ვარ“.

25 ჯემალ ქარჩხაძე – მოთხრობა „იგი“.

26 გურამ დოჩანაშვილი – მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

მისაღები გამოცდების მოთხოვნები

აბიტურიენტს მოეთხოვება:

– ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;

– ენობრივი კონსტრუქციების სწორად აგება და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა;

– სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შედგენა;

– მხატვრულ ტექსტთა ლექსიკის გაგება;

– ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;

– ნაწარმოების თემისა და იდეის, მოტივების, ცალკეული დიალოგების, მხატვრული სახეების, სიტუაციის, კოლიზიის არსისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივაციის ადეკვატური გააზრება;

– არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;

– ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;

– ლიტერატურულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;

– მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;

– ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

– ტექსტის რედაქტირების უნარი;

– არგუმენტირების უნარი;

– საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;

– კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;

– ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;

– დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;

– წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

გთავაზობთ 2012 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე გამოყენებული ტესტების ერთ ვარიანტს შეფასების სქემითურთ:

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტი და ამ ტესტის პასუხების ფურცელი

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!
ტესტის მაქსიმალური ქულაა – 80.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტესტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის III ნაწილში მოცემული ზოგიერთი დავალების (№№3-17) შესასრულებლად საჭიროა პასუხების ფურცელში შესაბამისი უჯრედები მონიშნოთ **X-ით**. თუ პასუხების ფურცელში უჯრედი შეცდომით მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

დანარჩენ დავალებებს უნდა უპასუხოთ სიტყვიერად. პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა შეგიძლიათ გადახაზოთ და გვერდით (ან ზემოთ) დაწეროთ სხვა პასუხი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები მოცემულია ბუკლეტში და თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

ყურადღებით გაეცანით ამ ინსტრუქციებს და არ დაგავიწყდეთ პასუხების გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი – წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი – ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (№1 ან №2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

შეგიძლიათ წაკითხულის გააზრების ყველა პასუხი ჯერ ტესტის ბუკლეტში მონიშნოთ და შემდეგ გადაიტანოთ პასუხების ფურცლის სათანადო ადგილას.

ყველა დავალების ბოლოს ტესტის ბუკლეტში საგანგებოდ გამოყოფილია ადგილი შავი ვარიანტის დასაწერად.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

გაითვალისწინეთ, არ გასწორდება ის დავალება, რომლის პასუხიც პასუხების ფურცელში საგანგებოდ ამ დავალებისათვის გამოყოფილ ადგილას არ იქნება გადატანილი!

არსად მუთითოთ თქვენი სახელი და გვარი და არც პიროვნების იდენტიფიცირების სხვა საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში **ნაშრომი არ გასწორდება**!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

→ 4

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ტექსტში დაშვებულია 18 მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომა და სტილისტური ხარვეზი. გაასწორეთ ეს შეცდომები და ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მასში არც ერთი სხვა ცვლილება არ შეიტანოთ.

დავალების მაქსიმალური შეფასებაა 20 ქულა. გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

ვერა ფაღავა დაიბადა თბილისში 1907 წელს. ბებიამისი იყო ზიჩის შთაგონების წყარო „ვეფხისტყაოსანის“ ერთ-ერთი პერსონაჟის სახის შექმნისას. მხატვრის მამას იური ფაღავას გერმანიაში ჰქონდა მიღებული იურიდიული განათლება. 1920-1921 წლებში იგი დიპლომატიურ მისიით ირანში იმყოფებოდა. დაბრუნების თანავე იური ფაღავამ თბილისი დატოვა და ცოლშვილთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. საქართველოში შექმნილი ვითარების გამო ფაღავები სამშობლოში აღარ დაბრუნებულან. 1923 წელს ისინი საცხოვრებლად პარიზში გადასახლდენ. მშობლებმა ნიჭიერ გოგონას კარგი განათლება მიაღებიეს. თავდაპირველად ვერა ხელოვნების სკოლაში სწავლობდა შემდეგ კი – რანსონის აკადემიაში.

ვერა ფაღავას პირველი ნამუშევრების გამოფენა საკუთარ გალერეაში მოახდინა ჟან ბუშერმა ვისაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი მხატვრის ტალანტის აღმოჩენასა და პოპულარიზაციაში. ბუშერის გალერეა იმ დროისათვის ძალიან უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი იყო. იგი ხშირათ მასპინძლობდა ისეთ მხატვრებს, როგორიც იყვნენ პიკასო, მირო და სხვ. 1966 წელს ვენეციის ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენაზე საფრანგეთი ვერა ფაღავას ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი და მას ცალკეული ოთახი ჰქონდა დათმობილი. ქართველი ემიგრანტი 1988 წელს გარდაიცვალა და ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს მშობლების გვერდით.

შავი სამუშაოსათვის

_____
_____
_____
_____
_____
_____

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

საზოგადოების ნაწილი უნიკალური ქართული სამუზეუმო ექსპონატების საზღვარგარეთ გამოფენის წინააღმდეგია, რადგან მიიჩნევს, რომ მათი ტრანსპორტირება გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.

შავი სამუშაოსათვის

_____
_____
_____
_____
_____
_____
_____

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (15 + 25 ქულა)

აირჩიეთ ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება № 1

ავთანდილი სწერს მეფე როსტევანს:

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასლვა-გვიანსა!
რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეჭელსა,
შემდრკალსა, შეშინებულსა და სიკვდილისა მეჭველსა!
კაცი ჯაბანი რათა სჯობს დიაცსა ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!
ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!
მერმე ვიშიშვი, მეფეო, თქვენდა კადრებად ამისად:
სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად;
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, ყოფამცა მქონდა ჟამისად!
თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, –
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე, მლმობელმან.
მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
შენ დაამდიდრე ყოველი ობოლი, არას მქონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.
ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი გულ-მხურვალები,
დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურას შევიცვალები,
კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს, იგი ალები,
მომცეს მკვიდრივე მამული მუნ, ჩემი სასურვალები!
დამხსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა ზენისა,
მუნ დამიუნჯოს, წამალი სადა ძეს წყლულთა ლხენისა,
ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მღილთა კბენისა,
ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმაფრენისა.
რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს საჭურჭლესა დასადებლად,
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ხიდთა ასაგებლად;
ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად!
შენგან კიდე არვინ მივის ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად“.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 3. რა არის პირველი ორი სტრიქონის სათქმელი?
ა) მეგობარი არასოდეს უნდა დავივიწყოთ, დასაძრახია პირის გამტეხი კაცი.
ბ) თავი უნდა გავწიროთ მიჯნურისათვის და არ უნდა ვუღალატოთ ხელმწიფეს.
გ) მეგობარი არასოდეს უნდა დავივიწყოთ და უნდა გვახსოვდეს სამშობლოც.
დ) უნდა დავიცვათ ქრისტიანული მცნებები, მიუღებელია პირის გამტეხი კაცი.

(1) 4. რა იგულისხმება სიტყვებში: „რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასვლა-გვიანსა“?
ა) მდიდარ და უსაქმურ კაცზე უარესი არაფერია.
ბ) მკვეხარა და ზარმაც კაცზე უარესი არაფერია.
გ) სატრფოსათვის ბრძოლაში შეშინებულ კაცზე უარესი არაფერია.
დ) ხიფათისათვის თავის ამრიდებელ კაცზე უარესი არაფერია.

(1) 5. მეორე სტროფის მიხედვით, როგორი მამაკაცია ყველაზე უარესი?
ა) ამპარტავანი.
ბ) შეშინებული.
გ) უზნეო.
დ) დაუნდობელი.

(1) 6. მეორე სტროფის მიხედვით, რა არის ყველაზე უფრო ღირებული მამაკაცისათვის?
ა) მატერიალური კეთილდღეობა.
ბ) მეგობრის გატანა.
გ) შეუბღალავი სახელი.
დ) სატრფოსადმი ერთგულება.

(1) 7. როგორ ახასიათებს ავტორი სიკვდილს მესამე სტროფში?
ა) როგორც სასტიკს, მაგრამ ვაჟკაცის მიმართ შემწყნარებელს.
ბ) როგორც ყველასა და ყველაფრის გამთანაბრებელს.
გ) როგორც სუსტებისა და მოხუცების გამანადგურებელს.
დ) როგორც სასტიკს, მაგრამ მიჯნურის მიმართ შემწყნარებელს.

(1) 8. რომელი სტრიქონი გამოხატავს მესამე სტროფის მთავარ სათქმელს?
ა) I სტრიქონი.
ბ) IV სტრიქონი.
გ) III სტრიქონი.
დ) II სტრიქონი.

(1) 9. რატომ თვლის ავთანდილი საჭიროდ იმის შეხსენებას, რომ სიკვდილს ყოველწამიერად უნდა ელოდოს ადამიანი?
ა) სურს გაამყაროს აზრი, რომ ადამიანის მოვალეობა ღირსეული ცხოვრებაა.
ბ) სურს გაამყაროს აზრი, რომ ადამიანის მოვალეობა სამშობლოსათვის სიკვდილია.
გ) სურს გაამყაროს აზრი, რომ ადამიანის მოვალეობა სატრფოსათვის თავგანწირვაა.
დ) სურს გაამყაროს აზრი, რომ ადამიანის მოვალეობა მეფისათვის თავდადებაა.

(1) 10. მეხუთე სტროფის მიხედვით, რას ითხოვს მეფისაგან ავთანდილი?
ა) შეიბრალოს.
ბ) დაივიწყოს.
გ) მოძებნოს.
დ) დაეხმაროს.

(1) 11. რას ნიშნავს მოცემულ კონტექსტში სიტყვა „ღარიბი“?
ა) უმიზნოდ მოხეტიალე ადამიანს.
ბ) უსასოოდ მოხეტიალე ადამიანს.
გ) უცხო ქვეყნის წარმომადგენელს.
დ) უცხო ქვეყნად გადახვეწილს.

(1) 12. მეექვსე სტროფის მიხედვით ჩანს, რომ:
ა) ავთანდილს ქვეშევრდომები პატივს სცემენ.
ბ) ავთანდილი ყოვლად უშიშარი მებრძოლია.
გ) ავთანდილს უდიდესი ძალაუფლება აქვს.
დ) ავთანდილი ძალიან მდიდარი კაცია.

(1) 13. რა მიზანი ამოძრავებს ავთანდილს, როცა გლახაკთათვის საჭურჭლის დარიგებას ითხოვს?
ა) გლახაკებმა მისთვის ილოცონ.
ბ) ობლებმა სული მოითქვან.
გ) ღარიბი აღარავინ იყოს.
დ) ყველა ადამიანი გათანაბრდეს.

(1) 14. მეშვიდე სტროფის მიხედვით, რას ნატრობს ავთანდილი?
ა) ასცდეს ჯოჯოხეთის ცეცხლს.
ბ) დაბრუნდეს თავის სამშობლოში.
გ) დაიბრუნოს საკუთარი მამული.
დ) სამუდამოდ უყვარდეს თინათინს.

(1) 15. ტროპული მეტყველების რომელ სახეს იყენებს ავტორი სიტყვებში: „ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მღილთა კბენისა...“?
ა) მეტაფორას.
ბ) ეპითეტს.
გ) გაპიროვნებას.
დ) შედარებას.

(1) 16. რა უმთავრესი მიზანი აქვს ავთანდილს, როდესაც როსტევანს მიმართავს: „ნურა ნუ გშურს საქონელი ჩემი ჩემთვის წასაგებლად“?
ა) არ დაინანოს ავთანდილის ქონება ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.
ბ) არ დაინანოს ავთანდილის ქონება უპოვართა თავშესაფრების ასაგებად.
გ) არ დაინანოს ავთანდილის ქონება მისივე სულის საცხონებლად.
დ) არ დაინანოს ავთანდილის ქონება ღარიბთა და ობოლთა დასახმარებლად.

(1) 17. როგორ ახასიათებს ეს ტექსტი ავთანდილს?
ა) როგორც შეუპოვარსა და ბედისწერის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანს.
ბ) როგორც მეომარსა და სამშობლოსათვის თავგანწირულ ადამიანს.
გ) როგორც მიჯნურსა და მეფისათვის თავდადებულ ადამიანს.
დ) როგორც ბრძენსა და მიჯნურის კეთილდღეობისათვის მზრუნველ ადამიანს.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება</u>, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.</u>

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

– გააანალიზეთ ავთანდილის მსჯელობა შიშისა და ვაჟკაცობის შესახებ (ყურადღება მიაქციეთ ავთანდილის შეხედულებებს სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთმიმართების შესახებ).

– იმსჯელეთ, როგორ ესმის ავთანდილს ადამიანის დანიშნულება (ყურადღება მიაქციეთ ავთანდილის მსჯელობას მოწყალების შესახებ).

– იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება № 2

რომანში „შენი თავგადასავალი“ აკა მორჩილაძე მოგვითხრობს ქართველი ემიგრანტის შესახებ, რომელიც ლონდონში

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

იმყოფება და 1989 წლის ცხრა აპრილის ტრაგედია ახსენდება: „მაკდონალდსში“ ვიდექი რიგში და გამახსენდა, რომ იაზონას მოძღვნილი ექსტაზი ჯიბეში მიგდია. ორი დღე არ გამხსენებია და უცებ ამოვიღე და ეგრევე, მშრალად გადავყლაპე.

გადავყლაპე თუ არა, ვინანე. მაგრამ რაღა დროს?..

– ბიგ მაკი, კოკა, – და ფული მიჭირავს ოფლიან ხელში.

ფრიო, თუ ჩიპსიო, თუ რაღაც ჯანდაბაო და, ჰო, ჰო-მეთქი და ავიღე ეს ყველაფერი და მივდივარ ლანგრით და ვფიქრობ, აქ დავჯდე სადმე თუ ქვემოთ ჩავიდე?.. ვიფიქრე, ჯობია აქ დავჯდე, რადგან ვიტრინიდან ქუჩას გავაკონტროლებ-მეთქი. მაგრამ მერე ქვემოთ ჩასვლა ვამჯობინე, ვიტრინიდან ისინიც ხომ დამინახავენ და ქვემოთ უცბად და მოყუჩებულად შევჭამ, მერე კვალს ავურევ და დავაი, ავითესები-მეთქი. ვინ ისინი? მაშინ ჯერ არ ვიცოდი...

ჩავედი. დავდე მაგიდაზე და რას ვხედავ? ორი ფორმიანი კაცი მომყვება. ფოსტალიონები იყვნენ. თავისთვის საუზმობას თუ აპირებდნენ, მაგრამ მე რაღაც დონკიხოტური დამემართა – პოლიციელებად წარმოვიდგინე. შეშლილივით მივყარე ყველაფერი და თავპირისმტვრევით ამოვვარდი კიბეზე. მომდევდნენ, ნაღდად მომდევდნენ. პოლიციელები კი არიან, მაგრამ რა უნდათ? ჯერ ხომ არ დაღამებულა? გიჟივით გავრბოდი... თან სულ სადარბაზო კარებს ვუყურებდი, ღია რომელია-მეთქი. სახლში მინდოდა მისვლა, იქ ადვილად შეიძლებოდა დამალვა, მოსახვევში კედელს ავეკარი და ამოვისუნთქე. ზუსტად ვიხსენებდი, სად ვიყავი და როგორ შეიძლებოდა შინ უმოკლესი გზით მისვლა... ჯერ ხომ არ დაღამებულა? ან პოლიციას რა უნდა, საერთოდ? რატომ ერევა პოლიცია? აკი, პოლიციამ ივაჟკაცაო?.. არ არიან ეგენი პოლიციელები. ოფიცრები არიან, რუსები, და დადიან, განგებ არ გამოაცხადეს, რომ უფრო მეტი ხალხი დაიჭირონ და დახოცონ... კედელს აქედან ფრთხილად გამოვიჭვრიტე. ამ ხალხს რატომ არ დასდევენ? ესენი კი არ იყვნენ იქ. ამათ მერე დაერევიან. უნდა გავასწრო. ცუდ ადგილას ვცხოვრობ. ეს ძაღლიშვილი ჰამერსმიტის გადასაჯდომი. თუმცა, მეორე მხრიდანაც შეიძლება, მაგრამ იქიდან ფეხით ბევრი სასიარულოა. ქუჩაში არ შეიძლება, მეტროში... მაგრამ უკვე მეტროშიც იქნებიან. გავძვრები. შეფერდს ბუშის ხაზით წავალ...

ძაან ფეთქებადი ექსტაზი გამომივიდა. თანაც იმის აღწერა, რასაც ვფიქრობდი, მოსაწყენიც კია... მე ასე დავქროდი და, როგორც იტყვის ხევის ბეთჰოვენი, იქნებოდა საღამოს რომელიღაც საათი, როცა მივადექი პატარა და უბადრუკ „არმზს“ ჩემი სახლის პირდაპირ. მანამდე სკამზე დაგდებული გაზეთი ავიღე და სახეზე ვიფარებდი მეტროში. ახლა ვხვდები, რომ ძალიან სასაცილოდ გამომდიოდა, მაგრამ ამით ოფიცრებს ვემალებოდი. მჯეროდა, რომ უნამუსოდ მოიქცნენ, რადგან წინასწარ არ გამოაცხადეს კომენდანტის საათი. ეს ხომ საშინელებაა? ხალხი წინასწარ არ გააფრთხილო და შემდეგ ქუჩაში დაერიო? საშინელებაა. მაგრამ აი, „არმზის“ კარი. აქ შემიფარებენ და მომივლიან. აქ ყალბი პასპორტის შოვნაც შეიძლება, ანდა ღამის საშვისა. სულ ჩემისთანა თავზეხელაღებული ხალხია შეკრებილი. ისინიც ხომ იმალებიან?

შევაღე კარი და შევედი. ხალხი ბევრი არ იყო. ერთი ის შიშველი ბერიკაცი, სვირინგები რომ მზემ გაუხუნა და ცოლი რომ შორტებს არ უკემსავს და ორიც სხვა. შევედი, პირდაპირ დახლთან დავჯექი. ტიმოთის „მაკევანსზე“ ვანიშნე თითით და ქართულად ვეკითხები:

– გენერალი სიგუტკინი იყო აქ?

– ვერ გავიგე, ჯორჯია.

რა სისულელეა? ქართულად ვეკითხებოდი. გავიხედ-გამოვიხედე და ხმას დავუწიე:

– გენერალი სიგუტკინი იყო აქ?

– აქ გენერალს რა უნდა?

– როდიონოვმა გამოაგზავნა, – ვუთხარი ისევ ქართულად, მაგრამ სწრაფადვე გადავედი ინგლისურზე, – კომენდანტის საათი დაიწყო. არ გამოაცხადეს და ხალხს გაუფრთხილებლად ესვრიან. ტანკებია გამოსული, გენერალი სიგუტკინი ნამდვილად არ ყოფილა?

ტიმოთიმ ჯერ ფაინთს შეხედა, მერე მე და გამიცინა:

– მე მგონია, ჯორჯია, რომ შენ სახლში უნდა წახვიდე, ეს ფაინთი კი მე უნდა დავლიო.

– არა, ჯერ სახლში ვერ წავალ. ჯერ აქედან უნდა ვუთვალთვალო, ჩემი მისამართი ხომ არ შეიტყვეს. ორი რუსი ოფიცერი მომდევდა.

– ის ოფიცრები გავყარეთ აქედან, – მითხრა სერიოზულად.

– ამას მაინც დავლევ, – ფაინთს დავწვდი, – თერთმეტიდან ხომ არ გაიცემა ლუდი?

– არა.

– ჰოდა, ესე იგი, კომენდანტის საათიც თერთმეტზე იწყება. ახლა რომელია? ათის ნახევარი. ჯერ დრო გვაქვს.

– კომენდანტის საათი, – გაეცინა ტიმოთის, – რას არ გაიგებ კაცი... კომენდანტის საათი.

– სიგუტკინი. სიგუტკინია ყველაფერი. როდიონოვი ისე მეთაურობს. სიგუტკინი კი ქუჩებში დარბის.

– კარგი, ოღონდ წადი და დაიძინე, დილით იპოვი მაგ შენ კომენდანტის საათს, – გაიღიმა ტიმოთიმ, – ოფიცრებს კი ჩვენ მოვუვლით.

– შენ რომ დაკეტავ, მერე?

– მერე. პოლიციაში დავრეკავ და იმათ გავაფრთხილებ.

– სწორია. პოლიცია ვაჟკაცურად მოიქცა, ხალხი გამოყავდა...

– რა თქმა უნდა.

ფაინთს შევხედე. ნახევარიც ვერ დამელია.

– ო'კეი? – მკითხა ტიმოთიმ.

– ჩვენ ტყეში წავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ“.

ა) წაკითხულის გააზრება:

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

(1) 3. რა ძირითადი ინფორმაციაა მოცემული პირველ აბზაცში?
ა) მთხრობელმა ნარკოტიკული ნივთიერება მიიღო.
ბ) მთხრობელმა უწყლოდ გადაყლაპა ნარკოტიკი.
გ) მთხრობელს იაზონამ ექსტაზი მიუძღვნა.
დ) მთხრობელს ორი დღე არ გახსენებია ექსტაზი.

(1) 4. მთხრობლის რა სულიერი მდგომარეობა გამოიხატება სიტყვებით: „ქვემოთ უცბად და მოყუჩებულად შევჭამ, მერე კვალს ავურევ და დავაი, ავითესები-მეთქი“?
ა) იგი ნეტარებას განიცდის და დაბნეულია.
ბ) იგი ყველაფრის მიმართ გულგრილი ხდება.
გ) მას მოულოდნელი სიხარულის განცდა ეუფლება.
დ) მას შფოთვა და მოუსვენრობა იპყრობს.

(1) 5. რა იგულისხმება სიტყვებში: „მე რაღაც დონკიხოტური დამემართა“?
ა) მთხრობელმა რეალობა ადეკვატურად აღიქვა.
ბ) მთხრობელმა რეალობა არაადეკვატურად აღიქვა.
გ) მთხრობელმა რეალობის აღქმის იმედი დაკარგა.
დ) მთხრობელს რეალობის შეცვლის იმედი მიეცა.

(1) 6. ვინ ჰგონია მთხრობელს ორი ინგლისელი ფოსტალიონი?
ა) ინგლისელი ჯარისკაცები.
ბ) „მაკდონალდსის“ მიმტანები.
გ) რუსი ოფიცრები.
დ) ქართველი პოლიციელები.

(1) 7. რას გულისხმობს მთხრობელი, როცა ფიქრობს: „განგებ არ გამოაცხადეს, რომ უფრო მეტი ხალხი დაიჭირონ და დახოცონ“?
ა) ინგლისელ პოლიციელთა დაუნდობლობას.
ბ) კომენდანტის საათის გამოცხადებას.
გ) ქართველი ოფიცრების სისასტიკეს.
დ) ქვეყნის საზღვრების ჩაკეტვას.

(1) 8. რა რეალურ ფაქტს გულისხმობს მთხრობელი, როცა ფიქრობს: „ამ ხალხს რატომ არ დასდევენ? ესენი კი არ იყვნენ იქ. ამათ მერე დაერევიან“?
ა) კანონიერი ხელისუფლების დამხობას თბილისში.
ბ) მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას თბილისში.
გ) ხალხის დევნას ლონდონის ქუჩებში.
დ) ტანკების გამოჩენას ლონდონის ქუჩებში.

(1) 9. რომელ ქართველ მწერალს მიემართება ალუზია: „როგორც იტყვის ხევის ბეთჰოვენი, იქნებოდა საღამოს რომელიღაც საათი“?
ა) ალექსანდრე ყაზბეგს.
ბ) გრიგოლ ორბელიანს.
გ) ილია ჭავჭავაძეს.
დ) ნიკოლოზ ბარათაშვილს.

(1) 10. რატომ იყო სასაცილო ის, რომ მთხრობელი სახეზე გაზეთს იფარებდა მეტროში?
ა) იგი არარსებულ საფრთხეს ემალებოდა.
ბ) იგი გაქცევის ნაცვლად იმალებოდა.
გ) მეტროში ისედაც ბევრი ხალხი იყო.
დ) მეტროში მაინც ვერავინ იცნობდა.

(1) 11. რატომ ჩქარობდა მთხრობელი „არმზში“ შეღწევას?
ა) ფიქრობდა, რომ იქ აჯანყებულთა შტაბი იყო.
ბ) ფიქრობდა, რომ იქ გენერალ სიგუტკინს არ შეუშვებდნენ.
გ) ფიქრობდა, რომ იქ როდიონოვის დევნას თავს დააღწევდა.
დ) ფიქრობდა, რომ იქ შეიფარებდნენ და დაეხმარებოდნენ.

(1) 12. რატომ ვერ გაიგო ტიმოთიმ მთხრობლის პირველი შეკითხვა?
ა) მთხრობელი ბარმენისაგან ძალიან შორს იჯდა.
ბ) მთხრობელმა ინგლისური ენა არ იცოდა.
გ) ტიმოთიმ ინგლისური ენა არ იცოდა.
დ) ტიმოთიმ ქართული ენა არ იცოდა.

(1) 13. რატომ გაეცინა ტიმოთის მთხრობლის ნათქვამზე: „კომენდანტის საათი დაიწყო. არ გამოაცხადეს და ხალხს გაუფრთხილებლად ესვრიან“?
ა) ჩათვალა, რომ მთხრობელი მთვრალი იყო.
ბ) ჩათვალა, რომ მთხრობელი ცოტათი აჭარბებდა.
გ) ჩათვალა, რომ მთხრობელმა უნებურად იცრუა.
დ) ჩათვალა, რომ მთხრობელმა შეგნებულად იხუმრა.

(1) 14. რაზე მიანიშნებს ის, რომ მთხრობელი კომენდანტის საათის გამოცხადებას ბარში ლუდის გაცემის შეწყვეტას უკავშირებს?
ა) ვითარების აბსურდულობაზე.
ბ) ვითარების ტრაგიზმზე.
გ) მთხრობლის გამჭრიახობაზე.
დ) მთხრობლის უგულისყურობაზე.

(1) 15. რაზე მიგვანიშნებს ტიმოთის სიტყვები: „იპოვი მაგ შენ კომენდანტის საათს“?
ა) ტიმოთიმ ვერ გაიგო, რისი ეშინია მთხრობელს.
ბ) ტიმოთი მიხვდა, რომ მთხრობელს საშიშროება ემუქრება.
გ) ტიმოთის არ უნდა ვითარების გამწვავება.
დ) ტიმოთის სურს, რეალურად დაეხმაროს მთხრობელს.

(1) 16. რა იწვევს მკითხველში იუმორისტულ განწყობილებას?
ა) დიდი რიგი და ფოსტალიონების გამოჩენა „მაკდონალდსში“.
ბ) მთხრობლის წარმოსახვაში ამოტივტივებული ისტორია.
გ) სრული შეუსაბამობა წარმოსახვასა და რეალობას შორის.
დ) უბადრუკ ბარ „არმზში“ არსებული სიტუაცია.

(1) 17. რის შესახებ არ არის საუბარი ამ ტექსტში?
ა) თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა.
ბ) ლონდონში რუსული ტანკები გამოჩნდა.
გ) პოლიცია ხალხის გადარჩენას ცდილობდა.
დ) ყალბი პასპორტის შოვნაც შეიძლება.

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი:

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

<u>ნაწერი არ გასწორდება</u>, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ <u>თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს</u> და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). <u>გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.</u>

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

შავი სამუშაოსათვის ტესტში დატოვებულია ადგილი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ. გაითვალისწინეთ, შავად შესრულებული ნამუშევარი არ გასწორდება.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

წერითი დავალების მაქსიმალური ქულაა 25.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

– იმსჯელეთ, როგორ იხატება მთხრობლის სახე ამ ტექსტში.

– იმსჯელეთ, რა ქმნის ტექსტში აბსურდულ და კომიკურ სიტუაციას.

– იმსჯელეთ, რა არის მოცემული ტექსტის მთავარი სათქმელი და რა მხატვრული საშუალებებითაა იგი რეალიზებული (ყურადღება მიაქციეთ ავტორის თხრობის მანერას).

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

შავი სამუშაოსათვის

_____
_____
_____
_____
_____
_____

შეფასების სქემები
ტექსტის რედაქტირება

ვერა ფაღავა დაიბადა თბილისში 1907 წელს. ბებიამისი იყო ზიჩის შთაგონების წყარო

„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟის სახის შექმნისას. მხატვრის მამას, იური ფაღავას, გერმანიაში ჰქონდა მიღებული იურიდიული განათლება. 1920-1921 წლებში იგი დიპლომატიური მისიით ირანში იმყოფებოდა. დაბრუნებისთანავე იური ფაღავამ თბილისი დატოვა და ცოლ-შვილთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა სამკურნალოდ. საქართველოში შექმნილი ვითარების გამო ფაღავები სამშობლოში აღარ დაბრუნებულან. 1923 წელს ისინი საცხოვრებლად პარიზში გადასახლდნენ. მშობლებმა ნიჭიერ გოგონას კარგი განათლება მიაღებინეს. თავდაპირველად ვერა ხელოვნების სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი – რანსონის აკადემიაში.

ვერა ფაღავას პირველი ნამუშევრები საკუთარ გალერეაში გამოფინა ჟან ბუშერმა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი მხატვრის ტალანტის აღმოჩენასა და პოპულარიზაციაში. ბუშერის გალერეა იმ დროისათვის უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრი იყო. იგი ხშირად მასპინძლობდა ისეთ მხატვრებს, როგორებიც იყვნენ: პიკასო, მირო და სხვ. 1966 წელს ვენეციის ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენაზე საფრანგეთი ვერა ფაღავას ნამუშევრებით იყო წარმოდგენილი და მას ცალკე ოთახი ჰქონდა დათმობილი.

ქართველი ემიგრანტი 1988 წელს გარდაიცვალა და ლევილის სასაფლაოზე დაკრძალეს მშობლების გვერდით.

→ 6

ერთიანი ეროვნული გამოცდები - 2013

ტექსტის რედაქტირების შეფასების კრიტერიუმები

I. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული და სინტაქსური შეცდომები ---------- 10ქ.
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (10) აკლდება თითო ქულა.
II. სტილისტური ხარვეზები ---------- 3ქ.
ამ ტიპის ყოველ ხარვეზზე მაქსიმალურ შეფასებას (3) აკლდება თითო ქულა.
III. პუნქტუაციური შეცდომები ---------- 5ქ.
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (5) აკლდება თითო ქულა.
IV. მექანიკური შეცდომები და ტექსტური უზუსტობები ---------- 2ქ.
ამ ტიპის ყოველ შეცდომაზე მაქსიმალურ შეფასებას (2) აკლდება თითო ქულა.

არგუმენტირებული ესეს შეფასების კრიტერიუმები

I კრიტერიუმი

№	დავალების პირობის ადეკვატური გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული.	2
2.	დავალების პირობა ნაწილობრივ არაადეკვატურადაა გაგებული.	1
3.	დავალება მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული.	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
2.	ნაშრომში დარღვეულია ტექსტის ლოგიკა და/ან იგი ორგანიზებული არ არის.	0

III კრიტერიუმი

№	მსჯელობის დასაბუთება	ქულები
1.	მსჯელობა დამაჯერებლადაა დასაბუთებული და არგუმენტები გამყარებულია შესაფერისი მაგალითებით.	5
2.	მსჯელობა მთლიანობაში დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები არ არის გამყარებული შესაფერისი მაგალითებით.	4
3.	მსჯელობა დასაბუთებულია, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში არგუმენტები და მოხმობილი მაგალითები არადამაჯერებელია.	3
4.	მსჯელობა ზერელედაა დასაბუთებული და არგუმენტები არადამაჯერებელია.	2
5.	მსჯელობა ძალზე ზოგადია, არგუმენტების მოხმობისას დაშვებულია უზუსტობა ან ფაქტობრივი შეცდომა.	1
6.	მსჯელობა დასაბუთებული არ არის	0

IV კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა არ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ან ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა არ გამოვლინდა არც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არც ზოგადი განათლება.	0

V კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, დაცულია ნაშრომის სტილური ერთგვაროვნება. გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი.	3
2.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ გვხვდება სტილისტური ხარვეზები.	2
3.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება არაადეკვატური ლექსიკა და სტილისტური ხარვეზები.	1
4.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

VI კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია, სინტაქსი	ქულები
1.	არ არის დაშვებული ერთზე მეტი შეცდომა.	4
2.	არ არის დაშვებული ორზე მეტი შეცდომა.	3
3.	არ არის დაშვებული ოთხზე მეტი შეცდომა.	2
4.	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
5.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის დაშვებული სამზე მეტი შეცდომა.	2
2	არ არის დაშვებული ექვსზე მეტი შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ექვსზე მეტი შეცდომა.	0

მხატვრული ტექსტის ანალიზის შეფასების კრიტერიუმები

მხატვრული ტექსტის ანალიზის მაქსიმალური ქულაა 25. უპირველეს ყოვლისა, გამსწორებელმა უნდა განსაზღვროს, უპასუხებს თუ არა ნაწერი მოცემულ დავალებას.

თუ აბიტურიენტის ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება, დავალების პირობა ან/და ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს, დაიწერება 0 ქულა და ნაწერი აღარ გასწორდება.

თუ ნამუშევარი დავალებას უპასუხებს, იგი უნდა გასწორდეს ქვემოთ მოცემული შეფასების სქემის მიხედვით.

№	კრიტერიუმები	კრიტერიუმების განმარტება	მაქსიმალური ქულა
I	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების ადეკვატური გაგება და ტექსტის სიღრმისეული გააზრება.	4
II	ნაშრომის აგება	აბიტურიენტს მოეთხოვება დავალების პირობის სამივე მითითების შესრულება, მსჯელობის თანამიმდევრულობის დაცვა, აბზაცების გამოყოფა და ნაშრომის მონაკვეთების ლოგიკური დაკავშირება ერთმანეთთან.	3
III	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	აბიტურიენტს მოეთხოვება მსჯელობის დასაბუთება და არგუმენტების გამყარება სათანადო ტექსტური მასალით.	6
IV	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ნაშრომში უნდა გამოიყოს ტექსტის მხატვრული თავისებურებები და მსჯელობა უნდა დასაბუთდეს სათანადო მაგალითებით.	2
V	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ნაშრომში უნდა გამოვლინდეს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნება, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, ზოგადი განათლება.	3
VI	ფაქტობრივი შეცდომები	ნაშრომში არ უნდა იყოს დაშვებული ფაქტობრივი შეცდომები.	1
VII	ლექსიკა და სტილი	აბიტურიენტს მოეთხოვება აზრის ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდ გამოხატვა, აგრეთვე ისიც, რომ ნაწერი სტილისტურად იყოს გამართული.	2
VIII	სინტაქსი	აბიტურიენტს მოეთხოვება სინტაქსური კონსტრუქციების სწორად აგება.	2
IX	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	აბიტურიენტს მოეთხოვება სალიტერატურო ენის ნორმების (მორფოლოგია, ორთოგრაფია, პუნქტუაცია) დაცვა.	2

I კრიტერიუმი

№	დავალების ადეკვატურად გაგება და გააზრება	ქულები
1.	დავალების პირობა ადეკვატურადაა გაგებული, ტექსტი ღრმადაა გააზრებული, ნაშრომში იგრძნობა ავტორის უმთავრესი სათქმელისა და ემოციური მიზანდასახულობის წვდომა.	4
2.	დავალების პირობა და ტექსტი ადეკვატურადაა გაგებული.	3
3.	დავალების პირობა და ტექსტი მთლიანობაში ადეკვატურადაა გაგებული და გააზრებული, თუმცა ერთ შემთხვევაში შეინიშნება დავალების პირობის ან ტექსტის არაადეკვატური გაგება.	2
4.	ერთზე მეტ შემთხვევაში დავალების პირობა ან/და ტექსტი არაადეკვატურადაა გაგებული.	1
5.	დავალების პირობა ან/და ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული	0 ნაწერი აღარ სწორდება

II კრიტერიუმი

№	ნაშრომის აგება	ქულები
1.	ნაშრომი უპასუხებს სამივე მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი. (დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული).	3
2.	ნაშრომი უპასუხებს სამ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	2
3.	ნაშრომი უპასუხებს ორ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი; ან ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას და კარგადაა ორგანიზებული, მონაკვეთები თანამიმდევრულად და ლოგიკურად ენაცვლება ერთმანეთს, აბზაცები სწორადაა გამოყოფილი.	1
4.	ნაშრომი უპასუხებს ერთ მითითებას, თუმცა ნაწილობრივ დარღვეულია ტექსტის ლოგიკა ან/და ზოგან აბზაცები არასწორადაა გამოყოფილი.	0

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2013

III კრიტერიუმი

№	მოსაზრებების არგუმენტირება და ადეკვატური ციტირება	ქულები
1.	მსჯელობა სამივე მითითების მიხედვით დასაბუთებულია (არგუმენტირებულია) და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით.	6
2.	მსჯელობა ორი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	5
3.	მსჯელობა ორი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	4
4.	მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო ორ მითითებაზე მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	3
5.	მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, მეორე მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული (პერიფრაზია ან მსჯელობა ორიოდე წინადადებითაა გადმოცემული).	2
6.	სამივე მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით.	1
7.	ორი მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო მესამე მითითება საერთოდ არ არის შესრულებული; ან მსჯელობა ერთი მითითების მიხედვით დასაბუთებულია და არგუმენტები გამყარებულია ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული; ანდა ერთი მითითების მიხედვით მსჯელობისას არგუმენტები არადამაჯერებელია და/ან არ არის გამყარებული ტექსტური მასალით, ხოლო დანარჩენი მითითებები საერთოდ არ არის შესრულებული.	0

IV კრიტერიუმი

№	ტექსტის მხატვრული თავისებურებების შეფასება	ქულები
1.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის არაერთი მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითებით.	2
2.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის ერთი მხატვრული თავისებურება და მსჯელობა დასაბუთებულია კონკრეტული მაგალითით.	1
3.	ნაშრომში გამოყოფილია ტექსტის მხატვრული თავისებურებები, მაგრამ არ არის დასაბუთებული კონკრეტული მაგალითებით; ანდა ნაშრომში არ არის გამოყოფილი ტექსტის მხატვრული თავისებურებები.	0

V კრიტერიუმი

№	დამოუკიდებელი აზროვნება და ზოგადი განათლება	ქულები
1.	ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა და ზოგადი განათლება.	3
2.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	2
3.	ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის ზოგადი განათლებაცა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარიც; ან არ გამოვლინდა დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა მკაფიოდ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა ნაშრომში მკაფიოდ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეხედულებათა და შეფასებათა არაშაბლონურობა, თუმცა არ გამოვლინდა ზოგადი განათლება.	1
4.	ნაშრომში არ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, თუმცა ნაწილობრივ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ან ნაშრომში ნაწილობრივ გამოვლინდა აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მაგრამ არ გამოვლინდა ზოგადი განათლება; ანდა არ გამოვლინდა არც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არც ზოგადი განათლება.	0

VI კრიტერიუმი

№	ფაქტობრივი შეცდომები	ქულები
1.	ნაშრომში არ არის დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა.	1
2.	ნაშრომში დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომა.	0

VII კრიტერიუმი

№	ლექსიკა და სტილი	ქულები
1.	ნაშრომში აზრი ენობრივად (ლექსიკურად) ზუსტად და მკაფიოდაა გამოხატული, შერჩეულია დასმული ამოცანის შესაფერისი სტილი, აგრეთვე დაცულია ნაშრომის სტილური ერთგვაროვნება, გვხვდება ორიოდე სტილისტური ხარვეზი	2
2.	ნაშრომში აზრი გასაგებია, მაგრამ ლექსიკა მწირია, გვხვდება რამდენიმე სტილისტური ხარვეზი.	1
3.	ნაშრომი სტილისტურად გაუმართავია.	0

VIII კრიტერიუმი

№	სინტაქსური კონსტრუქციები	ქულები
1.	ნაშრომში დაშვებულია ერთი სინტაქსური შეცდომა.	2
2.	ნაშრომში დაშვებულია ორი სინტაქსური შეცდომა.	1
3.	ნაშრომში დაშვებულია ორზე მეტი სინტაქსური შეცდომა.	0

IX კრიტერიუმი

№	მორფოლოგია, ორთოგრაფია და პუნქტუაცია	ქულები
1.	არ არის ოთხზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	2
2.	არ არის ცხრაზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	1
3.	დაშვებულია ცხრაზე მეტი ამ ტიპის შეცდომა.	0

წაკითხულის გააზრების შეფასების სქემა

დავალება № 1

3. ა) ––– 1ქ. 4. ბ) ––– 1ქ. 5. ბ) ––– 1ქ. 6 ბ) ––– 1ქ. 7 ბ) ––– 1ქ.
8. ბ) ––– 1ქ. 9. ა) ––– 1ქ. 10. ა) ––– 1ქ. 11. დ) ––– 1ქ. 12. დ) ––– 1ქ.
13. ა) ––– 1ქ. 14. ა) ––– 1ქ. 15. ა) ––– 1ქ. 16. ბ) ––– 1ქ. 17. ა) ––– 1ქ.

დავალება № 2

3. ა) ––– 1ქ. 4. ბ) ––– 1ქ. 5. ბ) ––– 1ქ. 6 ბ) ––– 1ქ. 7 ბ) ––– 1ქ.
8. ბ) ––– 1ქ. 9. ა) ––– 1ქ. 10. ა) ––– 1ქ. 11. დ) ––– 1ქ. 12. დ) ––– 1ქ.
13. ა) ––– 1ქ. 14. ა) ––– 1ქ. 15. ა) ––– 1ქ. 16. ბ) ––– 1ქ. 17. ა) ––– 1ქ.

ჩვენი გაზეთი, გამოცდების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით, შემოგთავაზებთ ტესტის თითო ნიმუშს ყველა საგანში. დღეს გთავაზობთ ქართული ენისა და ლიტერატურის (სავალდებულო გამოცდა) ტესტის ნიმუშს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის პროცესზე დეტალურ ინფორმაციას მოგაწვდით იანვრის ბოლომდე.

ინფორმაცია

ესეების კონკურსი საგანში „მსოფლიო კულტურა“ დასრულდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსი საუკეთესო ესეს გამოსავლენად საგანში „მსოფლიო კულტურა“ დასრულდა. სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსმა **ნათია ჯოხაძემ** კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს დიპლომები და ფულადი პრიზები გადასცა.

კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეების მიერ „მსოფლიო კულტურის“ საგნის თემატიკის შემოქმედებითად გააზრება და მისი დაკავშირება მათ გარშემო არსებულ რომელიმე კონკრეტულ ცხოვრებისეულ რეალობასთან.

კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების X-XII კლასის მოსწავლეები, რომლებმაც წარმოადგინეს როგორც ინდივიდუალური, ისე ერთობლივად (2-3 მოსწავლე) შესრულებული ნამუშევრები. კონკურსზე შემოვიდა 120-მდე ნაშრომი. კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან, გამოავლინა 14 გამარჯვებული ესე, რომელზეც მუშაობდა 22 მოსწავლე, მათ შორის, პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრიზი 700 ლარის ოდენობით გადაეცა 3 ესეს ავტორებს, მეორე ხარისხის დიპლომი და 500 ლარი – 4 ესეს ავტორებს და მესამე ხარისხის დიპლომი და 300 ლარი – 7 ესეს ავტორებს. მოსწავლეებმა დაჯილდოების ცერემონიალზე საკუთარი ნაშრომების მოკლე პრეზენტაციები წარმოადგინეს.

წარჩინებული სტუდენტები დაჯილდოვდნენ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული სასწავლებლის წარჩინებული სტუდენტები, საახალწლოდ, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ბენეფიციარები სხვადასხვა პროფესიული კურსის სტუდენტები იყვნენ (ვებტექნოლოგიები, კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული ქსელები და სისტემები).

სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიულ სასწავლებელში (EMIS) სტუდენტებს საშუალება აქვთ, მაღალი დონის სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, თანამედროვე კომპიუტერულ სპეციალობებს დაეუფლონ. EMIS წარმატებით თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან. ამ ორგანიზაციებში სტუდენტები პრაქტიკას გადიან. პრაქტიკის გავლის შემდეგ მათ დასაქმების დიდი შანსი აქვთ.

EMIS-ში ფუნქციონირებს Cisco-ს რეგიონული აკადემია და საქართველოში პირველი Microsoft IT აკადემია, რომლის ფარგლებში საოფისე პროგრამების ავტორიზებული კურსების გავლაა შესაძლებელი.

სტუმარი

ბიბლიოთეკა, როგორც კულტურული ბრენდი

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა წიგნების 3-დან 4 მილიონამდე ერთეულს იცავს, უფრო ზუსტად – 3 641 456 მილიონი. დღესდღეობით ბიბლიოთეკაში აქტიურად მხოლოდ 10-მდე დარბაზი მუშაობს და ამ პირობებში დღეში 2000-მდე მკითხველს მასპინძლობს, აქედან 400-500 ადამიანი სტაბილური, ერთგული მკითხველია. მართალია, დღეს, როგორც შევიტყვეთ, ბიბლიოთეკა მკითხველების ნაკლებობას არ უჩივის, რადგან, სხვა ბიბლიოთეკებისგან განსხვავებით, აქ ისეთი წიგნები ინახება, ინტერნეტშიც რომ ვერ მოიძიებს მკითხველი, მაგრამ ახალგაზრდობის კიდევ უფრო მეტად დასაინტერესებლად ხელმძღვანელობა, ბევრ სხვა ორგანიზაციასთან ერთად, აწყობს საინტერესო შეხვედრებს, პოეზიის საღამოებს, დისკუსიებს, გამოფენებს, პრეზენტაციებს. ბიბლიოთეკის აქტივობები ქვეყნის ფარგლებსაც გასცდა, უცხოეთში ბიბლიოთეკის ფილიალები გაიხსნა ქართული დიასპორისთვის. როგორ ცხოვრობს ეროვნული ბიბლიოთეკა, რას ინახავს და იცავს, რა აქტივობებს ახორციელებს – ამ თემებზე გვესაუბრება პოეტი, ესეისტი, ტელეპროექტების ავტორი, LIB.GE-ს და CAULIB.COM-ის დამფუძნებელი, საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე.

ლალი ჯელაძე

– ბოლოდროინდელი პროექტები და მიღწევები, რომლებიც ბიბლიოთეკაში განხორციელდა...

– ბიბლიოთეკაში, ზოგადად, ბევრი საინტერესო აქტივობა იყო. მნიშვნელოვანია, რომ ბაზა, რომელიც მე დამხვდა, თავიდან დაწყებას კი არ საჭიროებდა, არამედ განახლებას სხვადასხვა მიმართულებით. სიმბოლურად, ჩვენ ამას ბრძოლის ველის განვრცობა დავარქვით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საწყის ეტაპზე ბიბლიოთეკას სჭირდებოდა მეტი აქტივობა გარე პიარისთვის (ამ სიტყვის კარგი გაგებით), ანუ იმისთვის, რომ ადამიანებს უბრალოდ გაეხსენებინათ და აღედგინათ ბიბლიოთეკა, როგორც კულტურული ბრენდი. აქედან გამომდინარე, ძალიან აგრესიული პოლიტიკა ვაწარმოეთ, მემორანდუმების თვალსაზრისით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ ბიბლიოთეკის ცხოვრებაში, იქნებოდა ეს დისკუსიები, ღონისძიებები, პრეზენტაციები, საღამოები თუ სხვადასხვა ტიპის შეხვედრები.

ბიბლიოთეკაში გავაკეთეთ ინტერნეტტელევიზია. გარდა ამისა, სხვადასხვა მედიაორგანიზაციებთან გავაფორმეთ მემორანდუმები, რომლებიც ბიბლიოთეკის საქმიანობის პერმანენტულ გაშუქებას უზრუნველყოფს. ასეთი ტიპის აქტივობებით კი მოხდა ის, რომ (როგორც დღეს ამბობენ) ბიბლიოთეკის ცნობადობამ გაცილებით აიწია. ამან ხელი შეუწყო წიგნების შემოსვლის პროცესის ზრდას და უფრო ცხოველი გახდა სხვადასხვა ორგანიზაციების ინტერესი ჩვენ მიმართ. უახლოეს მომავალში რამდენიმე ორგანიზაციისგან ველოდებით ტექნიკას, რაც ჩვენთვის განუზომლად მნიშვნელოვანია. თავისთავად, ეს ღონისძიებები, გარკვეულწილად, ფასადურია, რადგანაც ბიბლიოთეკის შიდა ცხოვრების რიტმს არ ეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკაში ბევრი რამ კეთდება, ბევრი პრობლემაცაა – ეს ეხება რესტრუქტურიზაციასაც და ა.შ. სარემონტოა პირველი კორპუსი, რომლის გეგმა – 3D ვერსია – ხელთ გვაქვს და მალე გამოვაქვეყნებთ, როგორი უნდა იყოს პირველი კორპუსი. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ბიბლიოთეკა ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში გადავა. რესტრუქტურიზაცია აგრეთვე გულისხმობს არა მხოლოდ ზოგადი იდეების თავმოყრას და მათ განხორციელებას, არამედ კონკრეტული გეგმების დასახვას და განხორციელებასაც, მათ შორის ერთ-ერთია ელექტრონული განვითარების სინდიკატი, რომელიც ჩამოვაყალიბეთ და გულისხმობს სხვადასხვა რეგიონისა თუ რაიონის ბიბლიოთეკებთან შესაბამისი კონტაქტების დამყარებას. ამ პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქვეპროექტი განხორციელდა, მაგალითად, „ივერიელის“ პროექტი, რომელიც ძალიან ცნობილი და მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იქ „ციფრდება“ ძველი პერიოდული მასალა და ფოტოები. „წარსულთან შეხვედრა“ – პროექტი, რომლის მიზანი ფოტოების „გაციფრებაა“ – ეს ეხება 90-იან წლებამდე გადაღებულ ფოტოებს და, რაც მთავარია, ფოტოს კონტექსტს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ანუ არ არის აუცილებელი ფოტოზე გამოსახული პიროვნება იყოს ცნობილი. ამ მიმართულებით, თბილისის გარეთ, არაერთ ორგანიზაციასთან ვითანამშრომლეთ და გარკვეულ წარმატებასაც მივაღწიეთ. რამდენიმე მათგანმა საკუთარი გვერდიც კი შექმნა ჩვენს საიტზე, მაგალითად, ზუგდიდის ბიბლიოთეკამ. აქვე გეტყვით, რომ ჩვენი საიტის სრული რებრენდიგი განხორციელდა და მთლიანად შეიცვალა ინტერფეისი, რამაც მომხმარებლისთვის საიტი გაცილებით ადვილად მოსახმარი გახადა. დაემატა ბევრი ფუნქცია, მაგალითად, ღონისძიებები; უფრო მობილურ რეჟიმშია წარმოდგენილი ინტერნეტტელევიზია, ლექსიკონები და ჩვენი სხვა ბაზები. ეს ყველაფერი გაცილებით ხელმისაწვდომი გახდა.

ჩვენი სურვილია, ბიბლიოთეკის აქტივობები მხოლოდ საქართველოთი არ შემოიფარგლებოდეს, ამიტომაც რამდენიმე ბიბლიოთეკა გავხსენით ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. საჭიროა, ეს პროცესი უფრო სისტემური გავხადოთ და კამპანია ერთი ქოლგის ქვეშ ვაწარმოოთ. ბიბლიოთეკები გავხსენით სტამბულში, ვენაში, განჯაში, დღე-დღეზე გაიხსნება კიევში, რომელიც, თავისი მასშტაბით, ყველაზე დიდი იქნება – 4000-მდე ქართული წიგნი იქაური დიასპორისთვის. ვფიქრობ, მართლაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული ქართული კულტურის საზღვრებს გარეთ გატანის თვალსაზრისით. ბუნებრივია, სხვა ქვეყნებშიც არის ქართული დიასპორა და მათთანაც გვინდა აქტიური კონტაქტები, მაგრამ, პირველ რიგში, ქვეყნები იმის მიხედვით შევარჩიეთ, სადაც ტექნიკური კონტაქტი უფრო იოლი იყო.

ბიბლიოთეკის ისტორიაში პირველად შევიძინეთ უკონტაქტო პლანეტარული სკანერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან შევძლებთ ნებისმიერი ფორმატის წიგნის, ჟურნალისა თუ სხვა გამოცემის (ვგულისხმობ ფურცლოვან გამოცემას) გაციფრებასა და ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას გაცილებით სწრაფად, ვიდრე ეს აქამდე ხდებოდა. ბიბლიოთეკის ისტორიაში ეს მართლაც საეტაპო მოვლენაა, ანუ საშუალება გვეძლევა ერთგვარად გავარღვიოთ სივრცე, რომელიც მანამდე ხელშეუხებელი იყო (ვგულისხმობ ძველი გამოცემების გაციფრებას, რომელთა ფორმატი ჩვეულებრივი სკანერისთვის მიუწვდომელია).

ძალიან მალე გამოვა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის კვარტალური ჟურნალი, რომლის შექმნაში ჩართული იქნებიან როგორც ჩვენი თანამშრომლები, ისე მოწვეული ავტორები. ვფიქრობ, ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა ბიბლიოთეკის აქტივობებისთვის.

– მუზეუმებსაც მინდა შევეხოთ. როგორც ცნობილია, მუზეუმების გახსნასაც გეგმავთ...

– ბიბლიოთეკას საკუთრებაში გადმოეცა ავლაბრის არალეგალური სტამბის ტერიტორია, სადაც ორი მუზეუმის გაკეთებას ვაპირებთ – „მეხსიერების მუზეუმი“ და „სტამბის ისტორიის მუზეუმი“. ეს იქნება პირველი ტექნიკური მუზეუმი, რომელიც წიგნს ეხება. გარდა ამისა, ვგეგმავთ მუზეუმის გახსნას პირველი და მეორე კორპუსის შენობების გზაგასაყარზე – ე.წ. რარიტეტულ, ანუ იშვიათ გამოცემათა საცავის ბაზაზე. ვფიქრობ, ამ თვალსაზრისით, უახლოეს მომავალში გვექნება წინსვლა.

– ეროვნული ბიბლიოთეკა ძალიან ბევრ მნიშვნელოვან გამოცემას ინახავს, თქვენი აზრით, რომელია მათგან ყველაზე ღირებული...

– ბიბლიოთეკაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი წიგნია და მათი მნიშვნელობა, ბუნებრივია, ხარისხობრივადაც შეგვიძლია განვსაზღვროთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ყველა წიგნი მნიშვნელოვანია. თუმცა, გამორჩეული, თავისთავად, ის გამოცემებია, რომლებიც იშვიათ გამოცემათა საცავში ინახება. თუნდაც წიგნი, რომელიც ჩვენთვის საამაყოა, ვგულისხმობ 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“ (სულ ოთხი ინახება, მათგან ერთ-ერთი – ილია ჭავჭავაძის მინაწერით – ჩვენთანაა დაცული). ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე პირადი არქივი – ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის და სხვ. ნებისმიერი გამოცემის დაცვა და მკითხველისათვის მიწოდება ძალიან სერიოზული საქმეა. ამ კუთხით, კიდევ უფრო გვინდა გავაძლიეროთ საქმიანობა და გადავწვდეთ რეგიონულ გამოცემებსაც, იქნება ეს წიგნი თუ ჟურნალი, რადგანაც მათი ნაწილი ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო. მოგეხსენებათ, ჩვენთან წიგნების ნაწილი ISSN-ის ვალდებულების მიხედვით მოდის. როგორც გითხარით, ეს ნებაყოფლობითია და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა ნაწილმა არ აიღოს ვალდებულება და ამიტომაც ბიბლიოთეკა რიგი გამოცემების გარეშე რჩება. მინდა, ეს პრობლემა აღმოვფხვრათ სწორედ ელექტრონული განვითარების სინდიკატის ფარგლებში, დავამყაროთ კონტაქტი რაიონებისა და რეგიონების ბიბლიოთეკებთან, რომ გადმოგვცენ მათთან დაცული გამოცემები.

– თქვენი წინამორბედების მიერ განხორციელებული აქტივობებიდან რომელი იყო თქვენთვის მისაღები?

– ნებისმიერი აქტივობა, რომელიც მე განვახორციელე, დაფუძნებული იყო მანამდე წამოწყებულ აქტივობაზე, გარდა მცირე ნიუანსური ნაწილისა. ჩემთვის მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკა, როგორც ერთიანი ორგანიზმი ნებისმიერი წიგნით, ნებისმიერი თანამშრომლითა და მიღწევებით. ბუნებრივია, ამ ყველაფრის სრუქტურიზაცია არ იყო მოხერხებული, მაგრამ გვქონდა მილიონ-ნახევრამდე ელექტრონული ჩანაწერი, რომელიც ერთ-ერთი სერიოზული ბაზაა არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ყოფილ საბჭოთა სივრცეშიც კი. ეს ჩანაწერები ჩვენმა თანამშრომლებმა გააკეთეს ძალიან რთულ ტექნიკურ პირობებში, მათ ხელით უხდებოდათ ტექსტის აკრეფა და ა.შ. ეს პროცესი აქტიურად დაიწყო ჯერ კიდევ ლევან ბერძენიშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში.

– როგორ იზიდავთ ბიბლიოთეკაში იმ თაობას, რომლისთვისაც ინტერნეტი უფრო მნიშვნელოვანია? რა ტიპის აქტივობები ან პროექტები ხორციელდება მათთვის?

– რამდენიმე მემორანდუმი გავაფორმეთ უნივერსიტეტთან, მათ შორის თავისუფალ უნივერსიტეტთანაც და სწორედ მათი სტუდენტები, ამ მემორანდუმის ფარგლებში, ბიბლიოთეკაში ერთი დღის განმავლობაში ემსახურებოდნენ მკითხველს. გვინდა, ასეთ აქციებს ერთჯერადი სახე არ ექნეს და პროცესებში რაც შეიძლება მეტი პრაქტიკანტი სტუდენტი ჩაერთოს. ასევე გვინდა, რამდენიმე უნივერსიტეტის კურიკულუმში შევიდეს ბიბლიოთეკის აქტივობები და ამაში ქულებიც კი დაუწერონ სტუდენტებს. ამ მიმართულებით, უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან.

რაც შეეხება მოსწავლეებს, მათთვის გვაქვს სპეციალური ოთახი, სადაც მათივე მოთხოვნების შესაბამისად, ვაწყობთ შეხვედრებს საყვარელ მწერლებთან, მთარგმნელებთან და კულტურის მოღვაწეებთან.

მემორანდუმი გავაფორმეთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან, რომლის ფარგლებშიც: ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულების ბიბლიოთეკას ათასი წიგნი გადასცა; თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფი ოთხი პირი სასჯელის სახით შეფარდებულ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იხდის; არაპატიმარი მსჯავრდებულები ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას მკითხველთა ბარათების დახარისხებასა და წიგნების კატალოგების მოწესრიგებაში ეხმარებიან.

ორი წლის წინ მემორანდუმი გავაფორმეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდთან. ეს თანამშრომლობა გულისხმობს ერთობლივი ახალგაზრდული საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების განხორციელებას. მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია გამოფენების, ღონისძიებების, შეხვედრების და სემინარების ორგანიზება. ფონდისა და ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ განხორციელებული პროექტები მიმართული იქნება ახალგაზრდების აქტიური ჩართულობისაკენ. ღონისძიებაზე, თანამშრომლობის ფარგლებში, პირველი ინიციატივაც გაჟღერდა – ფონდის და ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლების გადაწყვეტილებით, ბიბლიოთეკაში შეიქმნება ახალგაზრდული პოლიტიკის კუთხე, სადაც სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბროშურები და წიგნები განთავსდება. ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ, გაეცნონ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, საერთაშორისო გამოცდილებას, სახელმძღვანელო დოკუმენტებს და ოფიციალურ კვლევებს ამ სფეროში.

ვცდილობთ, მაქსიმალურად დავაინტერესოთ ახალგაზრდები. ღონისძიებების დიდი ნაწილი სწორედ სტუდენტებს ეთმობა, ხშირად მათივე ინიციატივით ეწყობა. მათთვის ბიბლიოთეკაში კინოჩვენებებიც იმართება; ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, ახალგაზრდების მოზიდვას უწყობს ხელს.

– ეროვნულ ბიბლიოთეკას ასეთი ახალგაზრდა მმართველი არ ჰყოლია, ეს თქვენთვის დიდი პასუხისმგებლობა და ერთგვარი გამოწვევაა...

– ბიბლიოთეკასთან ურთიერთობის გარკვეული გამოცდილება მქონდა lib.ge-სა და მისი შვილობილი კომპანიების სახით, ანუ მიხდებოდა დაახლოებით მსგავსი რესურსის მართვა, თუმცა, გაცილებით მცირე ფორმატში (ვგულისხმობ ადამიანურ რესურსს). გარკვეულწილად, ეს ახალი გამოწვევაა, ახალი ტიპის გამოცდილება, რომელიც ჩემთვის მრავალმხრივ საინტერესოა თუნდაც იმით, რომ საქმე წიგნებს ეხება, წიგნი კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

– პარლელურად კიდევ მრავალ საქმიანობას ეწევით, გყოფნით დრო იმისთვის, რომ წეროთ?

– დიახ, დრო მრჩება სხვა საქმისთვისაც – როგორც ლექციებისთვის, ისე გადაცემისთვის, რომელსაც თიბისი Artarea-ზე ვამზადებ, თუმცა, ბუნებრივია, ადრე მეტი დრო მქონდა. ვამზადებ ლექსების ახალ კრებულსაც, რომელშიც, ძირითადად, 2009-2012 წლებში დაწერილი ლექსები შევა. ასევე, მხატვარ მაი ლაშაურთან ერთად გამოსაცემად ვამზადებ ჩემს მინიატურებზე დასურათხატებულ ალბომს.

– რითი იქნება გამორჩეული ბიბლიოთეკისთვის 2013 წელი, რა პროექტების განხორციელებას გეგმავთ?

– 2013 წელს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუკი შევძლებთ სამი რამის განხორციელება – პირველ რიგში, რემონტის დაწყება პირველ კორპუსში; მეორე – FineReader, ანუ ტექსტის ამომცნობის შეძენა, რომელიც გულისხმობს ძველი ტექსტების (რომელსაც ჩვენ ვასკანერებდით) გადაყვანას word-ში. იმდროინდელი შრიფტი sylfaen-ისგან განსხვავებულია, ამიტომაც ძველი ტექსტების გაციფრებას სპეციალური ამომცნობი პროგრამა სჭირდება, რომელიც ძვირადღირებულია; მესამე – ერთიანი საბიბლიოთეკო ქსელის შექმნა, როგორიც არის ალეფი, ანუ მილენიუმი, რაც გულისხმობს იმას, რომ გვექნება ბაზა, რომელიც სრულად მოიცავს საქართველოში არსებული წიგნის ყველა მონაცემს.

თვალსაზრისი

რამდენიმე მოსაზრება საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ

ჩვენი წერილის მიზანი არ არის, სრულად მიმოვიხილოთ ყველა ის პრობლემა, რაც დაგროვდა სასკოლო თუ უმაღლეს განათლებაში. იმედი მაქვს, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები ხელს შეუწყობს ახალი იდეების თუ წამოწყებების უფრო სრულყოფილად განხორციელებას; ასევე ზოგიერთი საკამათო საკითხის ირგვლივ დისკუსიის დაწყებას.

ჩემი აზრით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ამ სამ თვეში ბევრი ახალი სასიკეთო სიახლე წამოიწყო. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის ერთ-ერთ შედეგია ის, რომ სახელმწიფო ბაკალავრიატის სტუდენტებს სრულად დააფინანსებს 7 სახელმწიფო უნივერსიტეტის 14 სპეციალობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის რევოლუციური გადაწყვეტილება და უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი; თუმცა ამ გადაწყვეტილების განხორციელების პროცესში, ჩემი აზრით უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები: 1. რაოდენობრივად ლიმიტირებული გახდეს ამ სპეციალობებზე აბიტურიენტთა მიღება, რადგან სხვა შემთხვევაში მოსალოდნელია ამ სპეციალობებზე სტუდენტთა რაოდენობის ხელოვნური ზრდა, რაც უარყოფითად აისახება სწავლის ხარისხზე; ასევე მომავალში მოსალოდნელია ამ პროფესიის სპეციალისტთა სიჭარბე (როგორც ამჟამადაა იურისტებთან და ეკონომიკური პროფილის მქონე კურსდამთავრებულებთან მიმართებაში), რამაც შესაძლოა უმუშევრობის ახალი ტალღა გამოიწვიოს; 2. ამ სპეციალობებზე სტუდენტთა რაოდენობის ზრდა, რაც შესაძლოა აწყობდეთ კიდეც ამ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, გამოიწვევს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამან კი შეიძლება ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტის გაუქმებაც კი გამოიწვიოს. მე მესმის, რომ ასეთ პროცესს ისედაც ვერ ავცდებით, რაც საბაზრო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია; თუმცა ასეთი პროცესის ხელოვნური წახალისება (სტუდენტთა რაოდენობის ხელოვნური ზრდა) ხელს ვერ შეუწყობს იმ კეთილშობილური მიზნების განხორციელებას, რაც კომისიის წევრებს და სამინისტროს მესვეურებს აქვთ ჩაფიქრებული; და 3. სახელმწიფო უნივერსიტეტების დაფინანსების გაზრდა შესაბამისად უნდა აისახოს ამ უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა ანაზღაურებაზე, რათა არ მოხდეს „თავების“ გადინება კერძო უნივერსიტეტებსა თუ უცხოეთში. დარწმუნებული ვარ, რომ ზემოთ ნახსენები საფრთხეები გათვალისწინებული აქვთ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მესვეურებს და ჩემს წერილში მათზე საუბარი მხოლოდ შეხსენება და ერთგვარი პრევენციაცაა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ უმაღლესი განათლების სფეროში ჩამოყალიბებული კონცეფცია და განხორციელების გზები საკმაოდ სრულყოფილად წარმოსახავს იმ რეალობას, სადაც ვცხოვრობთ. თან ეს გაკეთდა სულ რაღაც სამ თვეში, რაც კონცეფციის ავტორების მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. ეს უკანასკნელი ფრაზა არ არის უბრალოდ შექება; ეს არის რეალობა, სიმართლე.

არანაკლებ, თუ უფრო მეტად არა, მნიშვნელოვანია სასკოლო განათლება. აქ, როგორც ჩანს, ჯერ არ არის ჩამოყალიბებული საბოლოო კონცეფცია, რაც ასევე გასაგებია, რადგან ძალიან მცირე დრო გავიდა. ამიტომ ნაადრევია რაიმე მოსაზრებების გამოთქმა; თუმცა რამდენიმე საკითხს მაინც შევეხები. პირველ რიგში, ესაა მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება. არაა დასამალი, რომ ჩვენს ქვეყანაში ის ერთ-ერთი ყველაზე დაბალია. არასერტიფიცირებული მასწავლებლის ანაზღაურება, უკეთეს შემთხვევაში (კვირაში 18-საათიანი დატვირთვა და დამრიგებლობა), 320-350 ლარს აღწევს (დაქვითვის შემდეგ ხელზე – 260-280 ლარი). სერტიფიცირებულებს ემატებათ ხელზე 120 ლარი (აქ არ ვგულისხმობ მასწავლებლების ძალიან მცირე ნაწილს, რომლებმაც ჩააბარეს საერთოდ გაურკვეველი გამოცდა ინგლისურსა და კომპიუტერის ფლობაში და, მხოლოდ საუკეთესო შედეგის შემთხვევაში, ხელზე 800 ლარი ეძლევათ). ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ პირველ ხანებში დაიწყო სისტემატური გამოსვლები სხვადასხვა მოთხოვნით. მათ შორის იყვნენ ავტობუსის მძღოლები, რომლებიც ითხოვდნენ ხელფასის ზრდას. მათ თვეში, 15-დღიანი მუშაობის პირობებში, საშუალო ხელფასი 700-800 ლარი ჰქონიათ (დაქვითვის შემდეგ 560-640 ლარი). მინდა გითხრათ, რომ ამ გამოსვლების დროს მასწავლებლები გაოცებულები იყვნენ. არა იმიტომ, რომ მძღოლების მოთხოვნები არ იყო გამართლებული. მათი ანაზღაურება ალბათ მეტი უნდა იყოს. უბრალოდ, მასწავლებლებისთვის თვიური ანაზღაურება 700-800 ლარის ოდენობით ჯერჯერობით ოცნების სფერაა. სხვათა შორის მასწავლებლის პროფესია, სტრესულობის თვალსაზრისით, პროფესიების პირველ სამეულშია (პირველ ადგილზე, თუ არ ვცდები, ზებგერითი თვითმფრინავების პილოტები არიან). აქ დავსვამ რიტორიკულ კითხვას: **რატომ უნდა გაეზარდოთ მასწავლებლებს ხელფასი?** პასუხის სოციალური დატვირთვა ისედაც ნათელია, ხოლო რაც შეეხება ახალი კონცეფციის ძირითად მიზანთან, სწავლების ხარისხის ზრდასთან კავშირს, შევეცდები პასუხები პუნქტობრივად ჩამოვაყალიბო: 1. ხელფასის სიმცირე ხელს შეუშლის იმ ძირითად მიზანს, რაც დაისახა განათლების და მეცნიერების სამინისტრომ: კერძოდ, განათლების ხარისხის ზრდას. ფაქტია, რომ კვალიფიციური მასწავლებლების საკმაო ნაწილი კერძო სასწავლებლებში არიან დასაქმებულნი. ამის მიზეზია არა მარტო ის, რომ ასეთ სასწავლებლებში მეტს უხდიან (სხვათა შორის განსხვავება საჯარო და კერძო სკოლების ხელფასებს შორის დიდი არ არის), არამედ სწავლების ორგანიზება და მოსწავლეებისგან ბევრად უკეთესი შედეგები. ამას თავის მიზეზები აქვს, რომელთა განხილვა შორს წაგვიყვანდა. ერთს კი აღვნიშნავ: როდესაც საჯარო სკოლებში ერთ კლასში 30-35 მოსწავლე ზის, კერძო სკოლებში მათი მაქსიმალური რაოდენობა 20-მდე თუ აღწევს. ეს კი მასწავლებელს საშუალებას აძლევს, საბოლოო სასწავლო შედეგზე უფრო ადვილად გავიდეს და შესაბამისად ზრდის მის მოტივაციას; 2. საჯარო სკოლებშიც ძალიან ბევრი კვალიფიციური მასწავლებელი ასწავლის; თუმცა, ისინი ფინანსური მოტივაციის ნაკლებობას განიცდიან. მე ისტორიკოსი ვარ და შემიძლია დარწმუნებით ვთქვა ის, რის თქმასაც, რატომღაც, ბევრი გაურბის. საუკუნეების მანძილზე ფინანსურ მოტივაციაზე უფრო ძლიერი სტიმული შესაძლოა მხოლოდ სიყვარული (შვილის, დედმამიშვილის ან მეგობრის, ახლობლის) იყოს. მარტო ენთუზიაზმზე დამყარებული ქმედება დროთა განმავლობაში აქტუალობას კარგავს. საქმიანობიდან გამომდინარე წლების განმავლობაში მიწევს ურთიერთობა საქართველოს საჯარო თუ კერძო სკოლების ბევრ მასწავლებელთან. მათ შორის ბევრი შემხვედრია კვალიფიციური და ძლიერი სპეციალისტი. თუმცა, ამ ადამიანებს სთხოვენ ძალიან ბევრს, რაც ანაზღაურებაში არაა გამოხატული. წარმოიდგინეთ ნებისმიერი სოფლის პედაგოგი, რომელიც დილის 6 საათზე უნდა ადგეს, შინაურ საქონელს და ფრინველს მიხედოს, საოჯახო საქმეები გააკეთოს და 9 საათზე დასვენებული, კარგი განწყობით შევიდეს გაკვეთილზე?! შემდეგ ჩაატაროს 4-5 გაკვეთილი, დარჩეს სკოლაში, რათა შეხვდეს კათედრის წევრებს, მოანესრიგოს ჟურნალები, საკუთარი სასწავლო მასალები და 4-5 საათზე დაბრუნდეს სახლში, სადაც უამრავი საოჯახო საქმე დახვდება (მაგალითად, 6 საათზე საქონელი ბრუნდება სახლში, რომელსაც შესაბამისი მოვლა სჭირდება). ამის გარდა, ის უნდა მოემზადოს შემდეგი დღის გაკვეთილებისთვის, იმუშაოს საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის (თუ ამის დრო დარჩება). თითქოს ძალიან მძიმე სურათი დავხატე, მაგრამ ეს სოფლის მასწავლებელთა ყოველდღიურობაა. უკეთესი ვითარება არც ქალაქებშია. აქ მასწავლებლების ნაწილს უწევს რამდენიმე ადგილას მუშაობა ან კერძო მოსწავლეების აყვანა. როდესაც ადამიანი რამდენიმე საქმეს ერთდროულად აკეთებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, გამორიცხულია მისგან ისეთივე უკუშედეგი მივიღოთ, რაც ერთ სამსახურში მუშაობის დროს. ამაზე შეიძლება ვინმემ თქვას, თუ ასეთი მძიმეა მისი სამუშაო გრაფიკი, დაანებოს სამსახურს თავი და მის ადგილას სხვა მოვაო. აი, აქ მივდივართ შემდეგ პრობლემასთან; 3. ჯერ ერთი, მოსული პედაგოგიც იგივე დღეში აღმოჩნდება და მეორე, რაც მთავარია, მასწავლებლის პროფესია იმდენად არაპრესტიჟული გახდა, რომ სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ სურს მასწავლებლობა. გადახედეთ სტატისტიკას – საქართველოს უნივერსიტეტების რამდენ სტუდენტს სურს მასწავლებლად მუშაობა? ამ ოთხიოდე წლის წინ ერთ-ერთმა უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ მოემზადებინა მაგისტრი-პედაგოგები. თუმცა, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, მსურველი სულ 6-7 ადამიანი იყო. არა მგონია, ამჟამად უკეთესი მდგომარეობა იყოს. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ძველი პედაგოგების ახლებით ჩანაცვლებას გადავწყვეტთ, მივიღებთ იმ შედეგს, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ახალი მასწავლებლების უმეტესობა ბაკალავრიატის შედარებით წარუმატებელი კურსდამთავრებული იქნება. აქ იმოქმედებს ის პრინციპი, რომელიც 70-80-იან წლებში მოქმედებდა: თუ კარგ სამსახურს ვერ ვიშოვი, ბოლო-ბოლო სკოლაში ხომ მაინც დავიწყებ მუშაობასო! ხელფასის ზრდის შემთხვევაში კი, გაიზრდება არა მხოლოდ მოქმედი მასწავლებლების მოტივაცია, არამედ ეს პროფესია პრესტიჟული გახდება და ახალგაზრდების საკმაო ნაწილს გაუჩნდება პედაგოგობის სურვილი. როდესაც ხელფასი მაღალი ექნება და სოფლის მასწავლებელს გამოუჩნდება კონკურენტი ახალგაზრდა კვალიფიციური კურსდამთავრებულის სახით, უფრო ნაკლებ დროს დაუთმობს საოჯახო საქმეებს (მაგ., 4-5 ძროხის ნაცვლად ეყოლება 1-2) და ბევრად მეტს იმუშავებს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე; ასევე ქალაქის მასწავლებელი არ იმუშავებს ორ, ზოგჯერ სამ ადგილას, შეამცირებს ან საერთოდ არ აიყვანს კერძო მოსწავლეებს და მთელ ყურადღებას სკოლაში მოღვაწეობაზე გადაიტანს. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, ისედაც ყველასთვისაა ცნობილი. სამწუხაროდ, ამაზე საჯაროდ ნაკლებად მსჯელობენ. სწორედ ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, წინ წამომეწია არც თუ ისე პოპულარული თემები. ეს პრობლემა რომ ახალ მთავრობას და, პირველ რიგში, განათლების სამინისტროს აწუხებს, ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მომავალ წელს დაგეგმილია ხელფასების 70-80 ლარით ზრდა, ასევე წლის ბოლოს გაიცა პრემიალური თანხა, ხოლო გაისად, ასევე წლის ბოლოს, გათვალისწინებულია პრემიის სახით 350 ლარის გაცემა. თუმცა არაა დასამალი, რომ მასწავლებლების ნაწილში ხელფასის მხოლოდ 70-80 ლარით მომატებამ გარკვეული იმედგაცრუება გამოიწვია. ჩემი აზრით, აი აქ განათლების სამინისტრომ სხვა ეკონომიკური პროფილის უწყებებთან, პირველ რიგში, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, უნდა მკაფიოდ განუმარტოს მოსახლეობას ამ ნაბიჯის მართებულობა. მართალია, განათლების მინისტრი და მისი მოადგილეები ძალიან ხშირად ურთიერთობენ საზოგადოებასთან, მაგრამ უპრიანია ამ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში კიდევ არაერთხელ გააკეთონ განმარტება, მაგალითად, ასეთი: წლეულსვე ყველა პედაგოგს ხელფასი 200 ლარით რომ გაზრდოდა, ამისთვის საჭირო იყო ბიუჯეტიდან 150-180 მლნ. ლარის გამოყოფა (20% დაქვითვით ან მის გარეშე). ამ შემთხვევაში, გამოვდივარ მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან, რომელიც, დაახლოებით, 60-65 ათასია საქართველოში. იმ დროს, როდესაც განათლების სამინისტროს საერთო ბიუჯეტი 600 მლნ. ლარია, ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა და ალბათ დაანგრევდა ქვეყნის ბიუჯეტს, გამოიწვევდა ინფლაციურ პროცესებს (მე ფინანსისტი არ ვარ და აქ მხოლოდ ჩემს მოსაზრებას გამოვთქვამ). ამიტომ უფრო უპრიანია ხელფასების ეტაპობრივი ზრდა, რის შემდეგაც, საბოლოოდ, 4 წლის თავზე შესაძლებელი იქნებოდა ანაზღაურების 750-800 ლარამდე მიღწევა შემდეგი ზრდის პერსპექტივით. მესმის ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე წინასწარ ასეთი დაპირების გაცემა ძალიან ძნელია, მაგრამ, მე პირადად, დარწმუნებული ვარ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. ჩემი აზრით, ასეთი განმარტებები და დაპირებები მასწავლებელთა უმეტესობისათვის გასაგები და მისაღები იქნება და გარკვეულ უკმაყოფილებას ჩააქრობს.

ამავე სტატიაში მოკლედ მინდა შევეხო კიდევ ორ საკითხს – მასწავლებელთა პროფესიულ განათლებას და ეროვნულ სასწავლო გეგმას. მასწავლებლების პროფესიული განვითარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ სამინისტროს ახალი ინიციატივა პროფესიულ უნარებში მასწავლებელთა პრაქტიკული გამოცდილების მონიტორინგის შესახებ; ანუ უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ახალმა მონიტორებმა უნდა შეამოწმონ, თუ როგორ ტარდება გაკვეთილები, რამდენად ადეკვატურად იყენებენ მასწავლებლები ახალ მეთოდიკას და, შესაბამისად, მათვე უნდა მისცენ რეკომენდაციები. ასეთ მონიტორინგს გაივლიან სერტიფიცირებული მასწავლებლებიც, ხოლო მონიტორინგის სამსახურის მუშაობას რესურსცენტრები უზრუნველყოფენ. ორივე ხელით მხარს ვუჭერ ამ ინიციატივის ნაწილს, კერძოდ, თავად პროცესს – მონიტორინგს და აი, რატომ? ადამიანმა შესაძლოა შესანიშნავად ჩააბაროს გამოცდა თეორიაში, მაგრამ პრაქტიკაში მან ვერ შეძლოს იმის განხორციელება, რაც ჩააბარა; ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ადამიანი, ვინც ჩააბარა გამოცდა პროფესიულ უნარებში არ არის კვალიფიციური მასწავლებელი. საერთოდ, თუ მონიტორინგი დაინერგა, ჩემი აზრით, გამოცდა თეორიაში, პროფესიულ უნარებში არ არის საჭირო. თუ მასწავლებელი სწორად წარმართავს საგაკვეთილო პროცესს, რა აუცილებელია, რომ მან ზეპირად იცოდეს პიაჟეს, ვიგოცკის, გარდნერის თუ მონტესორის თეორია (საგამოცდო საკითხებში ასეთი თეორია კი თოთხმეტია). პროფესიული უნარების გამოცდაზე ხომ ისეთი ტიპის დავალებებიც გვხვდება, როცა მასწავლებელმა უნდა გამოიცნოს, რომელი თეორიის მიხედვით მოქმედებდა მასწავლებელი კონკრეტულ სიტუაციაში. საბჭოთა პერიოდის პედაგოგიკის გამოცდა მახსენდება, მაკარენკოს, კომენსკის თეორიები ზეპირად რომ უნდა გცოდნოდა. ვიცი, რომ ეს საკამათო საკითხია და შესაძლოა ბევრი არ დამეთანხმოს, თუმცა, ვფიქრობ სადისკუსიო საკითხი მაინცაა. ოპონენტებს რომ არ ეგონოთ, რომ ამ გამოცდის ჩაბარება მეზარება, მოგახსენებთ, რომ ეს გამოცდაც და ისტორიის გამოცდაც, ყოველ შემთხვევაში, ჩავაბარე და სერტიფიცირებული მასწავლებელი ვარ. ჩავთვალე, რომ იმ დროს, როდესაც ტრენინგებს ვუტარებ სხვა მასწავლებლებს, მორალური უფლება არ მქონდა, გამოცდა თავად არ ჩამებარებინა. რაც შეეხება, თუ ვინ უნდა განახორციელოს მონიტორინგი, ასეთი კითხვა გამიჩნდა – ხომ არ დაემსგავსება ეს სამსახური საბჭოთა პერიოდის მეთოდისტების სამსახურს, რომლებიც განათლების განყოფილებებში იყო? მოსწავლეობის ჟამს კარგად მახსოვს, რომ მეთოდისტები, ძირითადად, ფაშფაშა ქალბატონები იყვნენ, რომელთა მოსვლა შიშის ზარს სცემდა სკოლის კოლექტივს. თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი კარგად მთავრდებოდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მონიტორების მოძებნა ყველა რესურსცენტრისთვის არც თუ ისე ადვილი იქნება და თუ ეს წამოწყება განხორციელდა, მათ კარგი ანაზღაურებაც უნდა მიეცეთ, რომ სხვაგანაც არ იმუშაონ და ერთ საქმეზე იყვნენ კონცენტრირებულები.

და ბოლო საკითხი, რასაც მინდა შევეხო, ესაა ეროვნული სასწავლო გეგმა. პირველ რიგში, მადლობა უნდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც წლების მანძილზე მასზე მუშაობდა. თუ არ ვცდები, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე 2000 წლიდან მუშაობდნენ და პირველი ვარიანტი 2005 წელს დასრულდა. შემდგომში მასში ხდებოდა გარკვეული სიახლეების შეტანა. ძალიან სამწუხაროა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი ცალკე აღარ არსებობს, რადგან იქ ძირითადად მუშაობდნენ კვალიფიციური სპეციალისტები. რამდენჯერმე ბრიტანულ მოდელ-

→ 10

თვალსაზრისი

რამდენიმე მოსაზრება საგანმანათლებლო სფეროში დაგეგმილი ზოგიერთი ცვლილების შესახებ

ზე – 10+2 გადასვლის შესახებ იდეამ გაიჟღერა, რაც თავისთავად საინტერესო იდეაა. თუმცა საჭიროა დისკუსია და ამ იდეის გამარჯვების შემთხვევაში, სასწრაფოდ იქნება საჭირო ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მუშაობის დაწყება. სწორედ ამ დროს ძველი პროფესიონალები ძალიან გამოდგებიან. ამის გარდა, მსოფლიოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმების მუდმივი განახლება მიმდინარეობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაღაც საერთო ქარგა არ არსებობდეს, მაგრამ საჭიროა შიგადაშიგ შევიდეს ცვლილებები. ცვლილებები აუცილებელია ახლა მოქმედ საგნობრივ სტანდარტებში, ყოველ შემთხვევაში ჩემს სპეციალობაში – საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში აუცილებლად, რომელიც ძალიან გაბერილი და ეკლეკტურია. ეს სტანდარტი შეიქმნა 2010 წელს და მის შექმნაში მონაწილეობდა ბევრი მიწვეული სპეციალისტი. როგორც კულუარებში ამბობენ, სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ისე დააჩქარა სტანდარტის ავტორები, რომ ფაქტობრივად, შავი, სამუშაო ვარიანტი დაიბეჭდა და ახლაც ის მოქმედებს. არ ვიცი, რამდენად მართალია კულუარული ინფორმაცია, მაგრამ სტანდარტის რეკომენდებული შინაარსების უბრალო გადახედვაც საკმარისია, რომ მისი შეცვლის აუცილებლობაში დარწმუნდე. სწორედ ამ შინაარსების მიხედვით დაიწერა გრიფირებული სახელმძღვანელოები და ამიტომ სახელმძღვანელოებშიც ნაწილობრივ აისახა ის ეკლეკტიკა, რაც სტანდარტს ახასიათებს (ავტორებს რომ ეს რეკომენდებული შინაარსები არ გაეთვალისწინებინათ, სახელმძღვანელოები გრიფირების დროს ჩავარდებოდა). რეკომენდებულ შინაარსებში გვხვდება ისეთი საკითხები, რასაც მხოლოდ ერთეული მეცნიერები იზიარებენ. კი ბატონო, ასეთ საკითხებზე სამეცნიერო მსჯელობა მისაღებია, მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოებში მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული ფაქტები უნდა დაფიქსირდეს და არა საკამათო საკითხები. მოვიტან რამდენიმე მაგალითს: IX კლასის საქართველოს ისტორიის სტანდარტის შინაარსში ვხვდებით ასეთ საკითხებს – უძველესი ქართული სახელმწიფოები – ძველი ეგრისი (კოლხა, კოლხეთი), დიაოხი, სასპრები, მუშქები. ჯერჯერობით, საყოველთაოდ მიღებულია, რომ კოლხა და დიაოხი სახელმწიფოებრივი გაერთიანებები იყო და არა სახელმწიფოები, ხოლო სასპერები აქამდე ასეთადაც არ ითვლებოდა. რაც შეეხება მუშქებს, აფერუმ ქართველებს, რომლებსაც ძველი წ-ის II ათასწლეულის შუა ხანებში სახელმწიფო გვქონია მცირე აზიის ტერიტორიაზე?! გაუგებარია, რატომ შეცვალეს ახ. წ-ის I-II სს. ქართლის მეფეების ფარსმან I-ის და ფარსმან II ქველის ნუმერაცია II-დ და III-დ; ან რატომ დაუბრუნდნენ ისეთ საკამათო საკითხს, როგორიცაა I ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანის სპარსელობა და ამ დინასტიის სასანიანებად გამოცხადება.

ჩემი აზრით, საერთოდ ანეგდოტური ვითარებაა X კლასთან მიმართებაში, სადაც სტანდარტის ავტორები, ფაქტობრივად, მოითხოვენ 15-16 წლის მოსწავლეებისგან ისტორიის ფილოსოფიის და ისტორიული აზრის განვითარების საფუძვლიან ცოდნას. თუ არ გჯერათ, კარგად დააკვირდით ამ სტანდარტის რეკომენდებულ შინაარსებს, სადაც მოთხოვნილია გრიგოლ ტურელის, ბედა პატივდებულის, ლორენცო ვალას, ვიკოს, იუმის, ბეკონის, რანკეს, კროჩეს, კოლინგვუდის და ა.შ. სხვათა და სხვათა ნააზრევის ცოდნა. ამათ უნივერსიტეტებში თუ ასწავლიან, ისიც ისტორიის ფაკულტეტებზე და მაღალ კურსებზე, ჩვენ კი საჯარო სკოლაში მოვითხოვთ ყველა X-კლასელისგან?! გარანტიას გაძლევთ, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ასეთი მიდგომით უბრალოდ შეიძულებს ამ საგანს. ამავე კლასის სტანდარტის მოთხოვნაა, ცნობილი ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხაძე მოსწავლეებს გავაცნოთ, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გეოგრაფი?! ამ მოსაზრების ავტორი სულ სამი პატივსაცემი მეცნიერია, რომლებსაც ახალი წყარო კი არ აღმოუჩენიათ, არამედ „თამარიანზე“ დაკვირვებით მივიდნენ ამ აზრამდე (ასეთი მიდგომით შოთა რუსთაველიც უდიდესი მოგზაური და გეოგრაფი ყოფილა). ამ მოსაზრებას არ იზიარებს ქართველი ისტორიკოსების და გეოგრაფების უდიდესი უმრავლესობა. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა და სახელმძღვანელოში მისი მოხვედრა დაუშვებელია. ყველაზე ეკლეკტური და გადატვირთული მაინც XI-XII კლასების სტანდარტების შინაარსებია. ამან გამოიწვია ის, რომ ამ კლასების სახელმძღვანელოები, მოცულობით და მასალის სიმრავლით, ძალიან დიდებია. ჩემთვის გაუგებარია, რა პრინციპით მოხვდა რეკომენდებულ შინაარსებში მაგ. რეჩ-პოსპოლიტა (ალბათ პოლიტიკური მოტივით, რადგან ამ სახელმწიფომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია რუსებთან ბრძოლაში) და არ მოხვდა საქართველო XII-XIII სს-ში (ეს პერიოდი შინაარსში ასეა გაწერილი – თურქ-სელჩუკები და საქართველო; ჯვაროსნები და საქართველო, რაც მხოლოდ პოლიტიკური ისტორიაა და არ უჩვენებს ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს და ამ სფეროებში კავშირს მაშინდელ მსოფლიოსთან). ბევრი რომ არ გავაგრძელო, სტანდარტში ასეთი საკითხები საკმაოდაა და სასწრაფო გადამუშავებას მოითხოვს. აქვე მინდა ვთხოვო მათ, ვისაც ეს ევალება, რომ XI კლასის სტანდარტში გაასწორონ დაშვებული ერთი კორექტურული შეცდომა, რომელიც 2,5 წელია განათლების და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე მოთავსებულ ეროვნულ სასწავლო გეგმაშია დაშვებული. სტანდარტის რეკომენდებულ შინაარსებში წერია – ხოსრო I ანუ შირვანი. მავანს და არასპეციალისტს შეიძლება ეგონოს, რომ ხოსრო და შირვანი ერთი და იგივე პირია. რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკია VI ს-ის ცნობილ სასანიანთა ირანის მეფეზე ხოსრო I ანუშირვანზე („ანუშირვანი“ სპარსულად „უკვდავ სულს“ ნიშნავს).

ამით მსურს დავასრულო ეს წერილი, სადაც ძალიან ბევრი საკამათო საკითხი წამოვწიეთ. ნამდვილად არ მაქვს პრეტენზია, რომ რაზეც გესაუბრეთ, ყველაფერში მართალი ვარ. თუმცა, სადისკუსიოდ რამდენიმე საკითხის წამოწევა, ჩემი აზრით, აუცილებელი იყო.

ბესიკ ლორთქიფანიძე,
ისტორიის მეცნ. დოქტორი, მასწავლებელი, ლექტორი, ტრენერი

სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის

როგორც ამაგდარმა პედაგოგმა, სისტემის ბევრი სახეცვლილება გამოვცადე. მინდა, ჩემი მოსაზრებებიც შემოგთავაზოთ.

მოგეხსენებათ, სახლის მშენებლობა საძირკველიდან იწყება. პირველ რიგში უნდა დავიწყოთ საბავშვო ბაღებიდან, სადაც დღეისათვის დიდი ქაოსია. მასწავლებლები განუკითხაობის პერიოდში დანიშნეს სურვილის და არა განათლების მიხედვით. არ ჰყავთ ლოგოპედი. ამიტომაც საბავშვო ბაღებიდან სწავლისათვის სრულიად მოუმზადებელი ბავშვები მოდიან.

რაც შეეხება სკოლის დაწყებით საფეხურს, სადაც დღეს მე ვმოღვაწეობ, აუცილებელია:

1. პირველ კლასში მშობლიური ენის გარდა არ ისწავლებოდეს სხვა ენა. მავნებელი და სასწავლო პროცესის ხელის შემშლელია ექვსწლიან ბავშვებთან კომპიუტერებით ყოველდღიური მუშაობა. ეს ხელს უწყობს მოსწავლის წიგნთან დაცილებას. აუცილებელია, დაწყებით კლასებში მშობლიური ენის სწავლებისათვის გაიზარდოს საათების რაოდენობა, როგორც წინათ იყო, პირველ კლასში – 9 საათი, II-III და IV კლასებში – 8 საათი. წინა ხელმძღვანელობამ ეს საათები უცხო ენას გადაუნაწილა, რამაც ძალიან ცუდი შედეგები გამოიღო.

2. რაც შეეხება სასწავლო სახელმძღვანელოებს. თუ მათი ავტორები არ გამინაწყენდებიან, თავისთავად თითქოს ყველა კარგია, მაგრამ მუშაობის პროცესში იკვეთება, რომ არც ერთი არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ჩემი აზრით, საჭიროა სამინისტრომ შეკრიბოს სპეციალისტები, გამოცდილი პედაგოგების მონაწილეობით. სამივე სახელმძღვანელოები შეჯერდეს ერთი საუკეთესო შინაარსით, მხატვრობითა და სტილით, რაც მომგებიანი იქნება როგორც მშობლებისათვის, ასევე სწავლებისთვის. სახელმძღვანელო უნდა აკმაყოფილებდეს დღევანდელ მოთხოვნებს ყველა თვალსაზრისით.

3. სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ძალიან კარგია სასერტიფიკაციო გამოცდები, მაგრამ ამით პედაგოგის კვალიფიკაცია არ შეფასდება. სერტიფიცირებული პედაგოგების უმრავლესობამ რეკლამა გაიკეთეს რეპეტიტორობისათვის და ნაკლებად სცალიათ სკოლისათვის. დღევანდელ სკოლას სჭირდება პუნქტუალური, საქმის ღრმა მცოდნე, მაძიებელი მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია კრიტიკული აზროვნება და თვითონ ირჩევს კლასთან მუშაობის მეთოდს. დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის იერსახეს, ჩაცმულობასა და მეტყველებას.

4. მადლიერი ვართ ახალი ხელისუფლების, რომ მოსვლისთანავე მზრუნველობა გამოიჩინა ჩვენ მიმართ, მაგრამ არასწორად მიმაჩნია, მანდატურს სკოლის დირექტორზე მეტი ხელფასი ჰქონდეს და მასწავლებელზე კი ორჯერ და სამჯერ მეტი. მესმის, დედაქალაქში არის დისციპლინის პრობლემა, მაგრამ რაიონებში ნამდვილად ზედმეტად მეჩვენება მათი შტატი. ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა ექიმის ან ექთნის, ლოგოპედისა და ფსიქოლოგის შტატები დაბრუნებოდა სკოლას.

5. რაც შეეხება სამეურვეო საბჭოებს, მათი ფუნქცია სკოლებში ნულის ტოლია. მოსაზრებას დირექტორის არჩევის შესახებ არ ვეთანხმები, რადგან არჩეულმა დირექტორებმა არ გაამართლა, ისინი ანგარიშვალდებულნი დარჩნენ იმათ წინაშე, ვინც მოახერხა მათი არჩევა, რამაც შემდგომში ცუდი შედეგი გამოიღო.

6. ამაგდარ პედაგოგთა თხოვნაა, პენსია დაენიშნოთ სტაჟისა და დამსახურების მიხედვით. მასწავლებლის ცოდნა შეფასდეს მისი გაკვეთილითა და მოსწავლეთა ცოდნით. მეტი ყურადღება მიექცეს დავიწყებული კარგის აღდგენას და მასზე სიახლეების დაშენებას. აუცილებელია, აღდგეს და სერიულად გამოიცეს იაკობ გოგებაშვილის ქართული ენის წერის დედანი.

უნდა დადგეს მშობელთა პასუხისმგებლობის საკითხი. მოსაგვარებელია სკოლებში მოსწავლეთა გადანაწილების საკითხი. ზოგიერთი სკოლა ძალიან გადატვირთულია იმიტომ, რომ იქ სწავლობენ ავტორიტეტული მშობლების შვილები და მოგეხსენებათ ჩვენი ბუნება, სწავლებაზე მეტად სხვა გარემოებებს ვაქცევთ ყურადღებას. მჯერა, მეტი ყურადღება მიექცევა რაიონის სკოლების მატერიალური ბაზის განახლებას.

კლარა შაფაქიძე
ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის პედაგოგი

ინფორმაცია

ღია კარის დღე სამინისტროში

საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელი კომისიის წევრები განათლების სფეროსა და მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ. ღია კარის დღეზე კომისიის წევრებმა დაინტერესებულ პირებს მათთვის აქტუალურ კითხვებზე უპასუხეს და განცხადებების განხილვის პროცესში წამოჭრილი საკითხების შესახებ კონსულტაცია გაუწიეს.

კომისიის სახელზე სამინისტროსა და შესაბამის რესურსცენტრებში, 2013 წლის 14 იანვრის ჩათვლით, 830 განცხადება შემოვიდა. ამ ეტაპზე, 250-ზე მეტი განცხადების პირველადი განხილვა განხორციელდა, მომდევნო ეტაპზე კომისიის მიერ დასკვნები მომზადდება. კომისიის დასკვნა თავისი შინაარსით სამინისტროსათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, ვინაიდან კომისია გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების ფაქტის დადასტურების ან უარყოფის შესახებ.

სპეციალური კომისია პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების მხოლოდ იმ შემთხვევებს განიხილავს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 2006 წლის 1 იანვრიდან კომისიის შექმნამდე, ანუ 2012 წლის დეკემბრამდე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე პოლიტიკური დევნის შესახებ მითითებული ფაქტების მტკიცების ტვირთი განმცხადებელს ეკისრება.

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



სამი ტომის ფასი 21 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ რობაქიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან** ახალი
- ალბერ კოენი - **დედაჩემი** ახალი
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები** ახალი
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა** ახალი
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- ჩვენი დედამიწა
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-IV ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >